სამთავრობო ჯარების ზუგდიდში უსისხლოდ შესვლამ სამოქალაქო ომის მალე დასრულების

იმედი აღძრა; დაება გაერთიანების, ჭრილობათა მოშუშების, ძალთა მოკრების ჟამი!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 242 (770) სამშაბათი, 9 ნოემბერი, 1993 წელი ფასი 200 კუპონი.

პირველი სვეტი

შევიდნენ ზუგდიდში

6 ნოემბერს 4 საათსა და 30 წუთზე ზუგდიდში შევიდნენ საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობო სამხედრო ქვედანაყოფები. ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებულ ფორმირებებს მათთვის არსებითი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. სამთავრობო სამხედრო ქვედანაყოფების მხრიდან მსხვერპლი არ არის.

პრესცენტრის განცხადება

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არაერთგზისი გაფრთხილების მიუხედავად, რომ რუსეთის სამხედრო ნაწილების იარაღისა და ტყვია-წამლის საწყობების ტერიტორიას გულდასმით იცავენ, ხოლო მათი მისადგომები დანაღმულია, კვლავ ცდილობენ იქ შეღწევას. ამას ტრაგიკული შემთხვევები მოსდევს.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის პრესცენტრის უფროსმა, პოლკოვნიკმა გენადი დოლგაჩოვმა განუცხადა, 7 ნოემბერს 16 საათსა და 35 წუთზე ხუთი კაცისგან შემდგარმა სამოქალაქო პირთა ჯგუფმა სცადა შესულიყო სარაკეტო-საარტილერიო ჭურვების საწყობში, რომელიც ქუთაისის სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე მდებარეობს. ამის შედეგად ქუთაისის ერთ-ერთი სკოლის 15 წლის მოსწავლე ბ. კალატოზიშვილი ნაღმზე აფეთქდა და მიღებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა. დანარჩენი მონაწილენი დააკავეს და ქალაქ ქუთაისის პოლიციის წარმომადგენლებს გადასცეს.

ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის პრესცენტრი ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების სარდლობის სახელით სამძიმარს უცხადებს დაღუპულის მშობლებსა და ნათესავებს და კიდევ ერთხელ შეახსენებს ყველას, რომ რუსეთის ჯარებისა და ნაწილების საწყობების ტერიტორიაზე შეღწევის ყოველგვარ უსანქციო ცდას შეიძლება მოჰყვეს გამოუსწორებელი შედეგები.

გაქურდეს ეკლესია

უცნობმა ბოროტმოქმედებმა გადაჭრეს რკინის ბადურა და შეაღწიეს მთაწმინდის მამადავითის ეკლესიაში, გაიტაცეს ძვირფასი ხატები, ობოლ. ბავშვთათვის განკუთვნილი ყულაბა, სხვა ნივთები, — იტყობინება საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესსამსახური. შემთხვევის ადგილი შეტყობისთანავე დაათვალიერეს მთაწმინდის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ჯგუფმა, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის უფროსმა პროკურორმა ელგუჯა ტყეშელაშვილმა.

ეკლესიის მსახურთა და მრევლის თხოვნაა, რომ ბოროტმოქმედთა მხილებასა და დაკავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოქალაქეებმაც, რათა გატაცებული ძვირფასეულობა დაუბრუნდეს ეკლესიას.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ჟურნალისტების სიცოცხლე და სამუშაო ხელშეუხებელია

ამ სტრიქონებს ვწერ დასავლეთ საქართველოში, იმ ადგილის მახლობლად, სადაც მოხდა საზარელი დანაშაული.

28 ოქტომბერს ქალაქ ხობში დახვრიტეს ჟურნალისტი დავით ბოლქვაძე. იგი 24 წლისა იყო. საომარი მოქმედების ზონაში იგი ასრულებდა საქართველოს ტელევიზიისა და „დაბლიუ-ტი-ენის" სატელევიზიო კომპანიის რეპორტიორის პროფესიულ მოვალეობას, კრებდა და ავრცელებდა ობიექტურ ინფორმაციას დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ტრაგიკული მოვლენების შესახებ.

იგი დახვრიტეს იმათ, ვინც გააჩაღა ეს ტრაგედია. მისი მკვლელები დათოსთან ერთად სიმართლის მოსპობასაც აპირებდნენ. გამსახურდიას ხროვის ბოროტმა განზრახვამ, რომელმაც ომი გამოუცხადა საკუთარ ხალხს, ხელმყო ადამიანის სიცოცხლისგან განუყოფელი თავისუფლება და ჭეშმარიტების უფლება.

დავით ბოლქვაძემ ბოლომდე მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი, ეროვნული და პროფესიული ვალი, საკუთარი სიცოცხლის ფასად დაგვანახა სინამდვილე სამშობლოსა და კაცობრიობის წინააღმდეგ მებრძოლი დამნაშავეების შესახებ. მისი საქმიანობა, ცხოვრება და სიკვდილი ახლა მოგვიწოდებს მოვიხადოთ ჩვენი ადამიანური ვალი.

ჟურნალისტს ომში იცავს კანონი და მისი პროფესია. თუ იგი არ მონაწილეობს საომარ მოქმედებაში როგორც კომბატანტი, თავისი პროფესიისათვის საჭირო იარაღის გარდა სხვა არავითარი იარაღით არ არის აღჭურვილი, მოქმედებს საერთაშორისო სამართლისა და პროფესიული ეთიკის ფარგლებში — მისი სიცოცხლე ხელშეუხებელია. მაგრამ ის, ვინც არ სჯერდება მშვიდობიანი მცხოვრებლების მიმართ მასობრივ ანგარიშსწორებას, როგორც ეს მოხდა აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოში, არც იმას თაკილობს, რომ ჟურნალისტის სიცოცხლეც ხელყოს. ეთნიკურ წმენდას ემატება პროფესიული წმენდაც — სპობენ რეპორტიორებს.

ჩვენ არ ვიცით, თუ რა ბედი ეწია ოცდაათზე მეტ ქართველ ჟურნალისტს, რომლებიც აშუქებდნენ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს. გუდაუთის დილეგებში ჰყავთ დატყვევებული გაზეთ „დემოკრატიჩესკაია აბხაზია" რედაქტორი იური გავა, გაერთიანებული პრესცენტრის თანამშრომელი ალექსანდრე ბერულავა და სხვები. იმაში, თუ როგორ ეპყრობიან და როგორ აპირებენ მოეპყრონ მათ, როგორ ჩქმალავენ თუნდაც უმცირეს ინფორმაციას მათი ადგილსამყოფელისა და ბედის შესახებ, ნათლად ვლინდება ხელწერა, ძალზე რომ წააგავს მოსკოვში ამბოხების ორგანიზატორთა მოქმედებას, რომლებმაც პროვოკაციულად გამოიწვიეს თავდასხმა ჟურნალისტებზე, ზვიადისტთა ბანდების მიერ ჩადენილ დანაშაულს, ქართველი ხალხის გენოციდის სულისჩამდგმელებისა და მფარველთა ქმედებას.

სამი იოსელიანი მოკლეს გუმისთაზე ტელეკამერით ხელში, დათო ბოლქვაძე — აბსოლუტურად უიარაღო. ჟურნალისტებისადმი ანგარიშსწორების მრავალი ფაქტია უკანასკნელი წლების ისტორიაში, მაგრამ ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა.

სულით ხორცამდე შემძრა ყოველივე ამან. დათოსა და მისი ყველა დაღუპული კოლეგის ნათელი ხსოვნის სახელით ვთხოვ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ჟურნალისტთა ყველა გაერთიანებას: აღიმაღლეთ პროტესტის ხმა თავისუფალი ინფორმაციის მომწოდებელთა მოსპობის წინააღმდეგ; მიაღწიეთ იმას, რომ მათი მკვლელები გადასცენ საერთაშორისო ტრიბუნალს, მოითხოვეთ პრესის ყველა ტყვედაყვანილი მუშაკის განთავისუფლება; დაგვეხმარეთ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ძებნაში.

იმედი მაქვს, რომ ჩემი მეგობრები — ჟურნალისტები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გამოიჩენენ კორპორაციულ სოლიდარობას: გამოიყენეთ მთელი თქვენი ძალაუფლება — ასეთ ვითარებაში იგი უპირველესია. მაქვს სამართალდამცველი მოძრაობის, ყველა იმ ადამიანის მხარდაჭერის იმედი, ვისაც კარგად აქვს შეგნებული, რომ ძალა, რომელიც ხელყოფს ჟურნალისტთა სიცოცხლეს, საფრთხეს უქმნის მშვიდობას, თავისუფლებასა და დემოკრატიას.

ედუარდ შევარდნაძე.

1993 წლის 8 ნოემბერი.

ფოტო ომიდან



სამშობლოს ჯარისკაცები. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ექო: „მეოთხე" — ეკრანიდან პრესაში

ჩვენ, „ჰომო სოვიეტიკუსები"—

თქვენ, „სელფ-მეიდებს!"

დაპირებისამებრ ვაგრძელებთ საუბარს, რომელიც საქართველოს ტელევიზიით გადაიცა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციის — „გზაჯვარედინზე: ახლა საით?" — შემდეგ. მაშინ ეკრანიდან კითხვებით მივმართეთ ქართველ პოლიტიკოსებს (შემდეგ ეს კითხვები გამოქვეყნდა „სრ" 18/X 93).

ახლა სიტყვა რესპონდენტებს.

შენიშვნა: პუბლიკაცია საქართველო-რუსეთის ურთიერთობას შეეხებოდა.

ტრადიციულად რესპონდენტი ადამიანია, რომელსაც ეკითხებიან, მაგრამ ზოგჯერ კითხვას უფრო უკეთ, ამომწურავად უპასუხებს არა იგი, არამედ სიტუაცია, რეაქცია, თუ გნებავთ, შიში, ყველაზე უკეთ კი — დრო, მისი უდიდებულესობა.

დღეს ჩვენი სტუმრები არიან არატრადიციული რესპონდენტები — დრო, რეაქცია, სიტუაცია, შიში და ტრადიციული რესპონდენტები: პარლამენტარები ზურაბ შენგელია და ნოდარ კოხრეიძე.

დრო: პირველი სიტყვის უფლება მან აიღო, უნებართვოდ!

„გზაჯვარედინზე: ახლა საით?" — ამ სათაურში იყო გამოტანილი იმ პუბლიკაციის მთავარი კითხვა: „ახლა უკვე გზაჯვარედინზე აღარ ვდგავართ, ერთი ბიჯი უკვე გადავდგით, მაგრამ საით?" — ასე დავამთავრეთ მაშინ საუბარი ტელეეკრანთან.

— „სნგ"-საკენ! გადაცემის ჩაწერიდან მინ ეთერში გასვლამდე სულ რამდენიმე საათში ამ კითხვას უპასუხა დრომ.

რეაქცია: დროისაგან განსხვავებით იგი ცალსახა პასუხებს არ იძლევა, არაერთგვაროვანია. ამიტაც არის ყველაზე საინტერესო რესპონდენტი. ბუნებრივია, ესა თუ ის ფაქტი თუ მოვლენა ზოგს მოეწონება, ზოგს — არა. საინტერესო კი ის არის, რომ ზოგჯერ მოწონებას ისიც გამოხატავს, ვისაც, დანამდვილებით ვიცით, არ მოსწონს (ასეთი სატელეფონო ზარებიც იყო პოლიტიკოსთაგან), ზოგს თავისი დამოკიდებულების გამოხატვის პირდაპირი ფორმა ურჩევნია და სულაც არ აპირებს, თუნდაც გარკვეული ინტერესებიდან გამომდინარე, მოიწონოს ის, რაც აგრე არ მოსწონს. მეტიც — „სისულელეებს ლაპარაკობთ ეკრანიდანო", — ასეც შეგვამკეს. ესეც გასაგებია, არცთუ სასიამოვნო მოსასმენია ეკრანიდან შეკითხვა — „ხომ არ გრძნობს რომელიმე პოლიტიკოსი პასუხისმგებლობას შედეგებზე (შედეგი კი დანგრეული ქვეყანაა) იმდენად, რომ პოლიტიკიდან წასვლას ფიქრობს, — მათთვის, ვისაც ამდენი წელი, დრო, ენერგია, ნერვები შეულევია ერთხელ არჩეული გზისთვის და ზოგს იქნებ პატიოსნადაც ულია მასზე. კონკრეტული პასუხი ამ შეკითხვაზე არავის მოუცია იმათგანაც კი, ვისგანაც ასეთი ფრაზაც მოგვისმენია — „ნეტავ პოლიტიკაში სულ არ გავრეულიყავიო". პირიქით, ჩვენი პროფესიული ჩარჩოები მოგვისაზღვრეს — რა თქვენი გადასაწყვეტია ვინ წავა პოლიტიკიდან და ვინ არაო. და საერთოდ, პოლიტიკა ჟურნალისტების საქმე არ არისო. ვიცით, ბატონო, რომ პარლამენტი ქვეყნის უმაღლესი, პირველი ხელისუფლებაა და მოკრძალებით ვითხოვთ რიგით მეოთხეობა მაინც გაიმეტონ (ჩვენთვის, „პოლიტიკაში ცხვირს ნუ ყოფთო", ამის ნაცვლად ის რომ ესაყვედურათ, ხუსტი მეოთხე ხელისუფალნი ხართო, უფრო სამართლიანი იქნებოდა.

სიტუაცია: აი, მას კი სულ სხვა თვისება აქვს — თუ იმორჯვებ, საშენოდ გამოიყენებ. ჩვენი აზრი — „პოზიცია, ოპოზიცია და გაურკვეველი პოზიცია — ასე წარმოჩინდება დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური სპექტრი",— საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გადაცემის მეორე დღესვე იმავე ეკრანიდან ჩვენთვის „აეხსნათ" ზოგი რამ. შეგვახსენეს „ჰომო-სოვიეტიკუსის" — მორჩილი, ყველაფერზე თავის მქნეველი ადამიანის ჭიშის გამოყვანის ყველასთვის ცნობილი ფაქტი და უშიშარი ოპოზიციის ჩამოყალიბების პროცესიც კეთილგანწყობილად (ვერ დავუკარგავთ!), განგვიმარტეს.

შესაძლოა, რომ ამ უკანასკნელის გამშვები მექანიზმია არა რეალობის დანახვა, მოვლენების, ფაქტების, სხვათა აზრებისადმი ჯანსაღი დამოკიდებულება, არამედ ჩარჩოებში მიმოქცევის, მორჩილების, ერთი სიტყვით, „ჰომო-სოვიეტიკუსად" ქცევის შიში. ჩვენ — „ჰომო-სოვიეტიკუსები" თქვენ — „სელფ-მეიდებს" ასეთივე კეთილგანწყობით (ნურც თქვენ დაგვიკარგავთ!) გთხოვთ, იქნებ იმაზეც იფიქროთ, ხომ არ „მუშაობს" წინააღმდეგობის კომპლექსი?

შიში: შიშნარევი აღმოჩნდა შეკითხვა: „თავიდანვე სწორი პოლიტიკის წარმოებით შეიძლებოდა თუ არა სამეგრელოს პრობლემის მოგვარება?" ამ კითხვაზე პასუხი ბევრს აქვს, ოღონდ „არა პრესისათვის". ჩვენც უფრო მეტი ტრადიციული რესპონდენტი გვეყოლებოდა, მაგრამ თავის სიტყვას ამბობს შიში — დუმილის სიტყვას.

რაც შეეხებათ ტრადიციულ რესპონდენტებს, ისინი თავიანთ სათქმელს ჩვენს დაუზმარებლადაც ამბობენ.

ზურაბ შენგელია,

საპარლამენტო ფრაქცია „რესპუბლიკელები":

მე შევეცდები ერთიანად ვუპასუხო შეკითხვებს დღესდღეობით ჩვენ წინაშე მდგომი საკვანძო საკითხების გათვალისწინებით. ამასთან, ზედმეტი მგონია იმის ხაზგასმა, რომ ეს საკითხები დღეს არ წარმოშობილა, გუშინდლიდან მოგვდევს.

არსებული სიტუაცია განპირობებულია ობიექტური ფაქტორებით, რომელთა შორის ერთ-ერთ ძირითადად ჩვენი სახელმწიფოებრივი ცნობიერების დეფიციტი წარმომიდგენია, რაც აგრერიგად აუცილებელია სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელებისათვის (ვლაპარაკობ სახელმწიფოებრივ და არა ეროვნულ ცნობიერებაზე). როდესაც ქვეყანაში ხორციელდება სახელმწიფოებრივი ცნობიერებიდან გამომდინარე სახელმწიფო პოლიტიკა, იგი მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესებს მოიცავს მეტ-ნაკლებად.

ერთ ქართველ მოაზროვნეს არცთუ შორეულ წარსულში უთქვამს: მე ჩემი სამშობლოს ჩემს წარმოსახვაში არსებული იდეალი მიყვარს და არა ის, რასაც ვხედავო. პოლიტიკაში ამგვარი მიდგომა დაუშვებელია. სწორედ ამგვარი მიდგომის შედეგია ჩვენი პოლიტიკის იდეოლოგიურ უზრუნველსაყოფად ისეთი მექანიზმების ამუშავება, როგორიც არის მტრის ხატის შექმნა. მხედველობაში მაქვს როგორც „კრიმინალური ინტელიგენციის" პრინციპი, ასევე ბოლო ხანებში გაძლიერებული პარლამენტისა და პოლიტიკური პარტიების როლის უარყოფითი შეფასება მიმდინარე პროცესებში, რის უტყუარ დასაბუთებადაც თუნდაც საზოგადოება „თბილისელის" უკანასკნელი შეკრება გამოდგება.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას ხელი შეუშალა მთავრობის მიერ განხორციელებულმა ანტირეფორმისტულმა კურსმაც, რომელმაც ეროვნული ცნობიერების ის სუსტი ძარღვიც კი, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში ამდენი სისხლის ფასად რის ვაი-ვაგლახით აღმოცენდა, ძირშივე ჩაკლა, რითაც ჩვენი საზოგადოება კიდევ უფრო დააკომპლექსა. ვერ დავეთანხმები იმ არგუმენტს, რომ „დასავლეთი, რაც შეეძლო დაგვეხმარა, მას მეტი არ ძალუძს".

მგონია, რომ დასავლეთი დაეხმარა მხოლოდ ედუარდ შევარდნაძის, როგორც პიროვნების, როგორც სახელმწიფო მეთაურს. დასავლეთი საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, პრაქტიკულად არ დახმარებია და ამის მიზეზია მხოლოდ ის, რომ ჩვენი ხელისუფლება არ იღვწის დემოკრატიული პრინციპების დასამკვიდრებლად საზოგადოებაში და არ ირჯება თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე გადასასვლელად, რაც დასავლეთის მიერ რომელიმე სახელმწიფოს დახმარების აუცილებელი პირობაა.

აქედან გამომდინარე, ჩვენი პოლიტიკის ნაწილ-ნაწილ შეფასება (თითქოს საგარეო პოლიტიკა, ასე თუ ისე, მისაღებია, მაგრამ საშინაო პოლიტიკა ჩავარდა) — არასწორად მიმაჩნია, რადგან დასავლეთის ჩვენთან დამოკიდებულებაში ჩვენი საშინაო პოლიტიკა საქართველოს სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობის განმსაზღვრელია.

ჩვენ არანაირად არ მოგვეცა რეფორმების განხორციელების საშუალება. კონსერვატორები ყველაფერზე მიდიოდნენ, სისხლზეც კი, ოღონდ რეფორმები არ დაწყებულიყო. ამგვარ სიტუაციას ახლად აღმოცენებული დემოკრატია, ბუნებრივია, ვერ გაუძლებდა და ვერც გაუძლო. ამიტომ აღმოვჩნდით დასავლეთისაგან ფაქტობრივად გარიყულნი.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი მძლავრი გარანტი მისი პოლიტიკური ფუნქციაა, როგორც რეგიონულ პოლიტიკაში, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. მაგალითად შვეიცარიაც გამოდგება. ვერ ვიტყვი, რომ არ იყო მცდელობა იმისა, რომ საქართველოს პოლიტიკური ფუნქცია შეეძინა, აღვნიშნავ ჩვენს ჩართვას შავი ზღვის აუზის ქვეყ-

(დასასრული მე-2 გვ.).

ნომერში

⊙ დიახ, საქართველო ტურიზმის ქვეყანაა! 2

⊙ ჩვენს კოლეგას — ღირსების ორდენი. 3

გამსვლელი სხდომა ზუგდიდში

8 ნოემბერს ზუგდიდში გაიმართა დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონის დროებითი კომიტეტის გამსვლელი სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

სხდომაზე ძირითადად საუბარი შეეხო იმ პრობლემების მოგვარებას, რომლებიც უახლოეს დღეებში უნდა გადაწყდეს. ესენია: წესრიგის აღდგენა, მოსახლეობის ფქვილითა და საწვავით მომარაგება.

დღეისთვის ზუგდიდში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 243 ათასი ადგილობრივი მოსახლე და ლტოლვილია თავმოყრილი. უახლოეს მომავალში მთავრობამ ყველაფერი უნდა იღონოს ამ ადამიანთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისთვის, მაროდიორობისა და ყაჩაღობის აღსაკვეთად.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის შესახებ

დაინიშნოს ედიშერ ჩარგაზია ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე

* * *

სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ დაინიშნა ედიშერ ჩარგაზია.

ედიშერ ჩარგაზია დაიბადა 1956 წელს, ქ. ზუგდიდში. 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს უმაღლეს სასამართლოში, რესპუბლიკის პროკურატურაში. იყო ქ. თბილისის ვაკის რაიონის პროკურორის მოადგილე, გარდაბნის რაიონის პროკურორი, სახელმწიფო საბჭოს მრჩეველი, უკანასკნელ პერიოდში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული ინსპექციის უფროსად.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ვახტანგ გოგუაძე: საქართველოს ურთიერთობა ყველა მეზობელ ქვეყანასთან აღმავლობის გზით მიდის

6 ნოემბერს სტამბოლიდან თბილისს დაბრუნდა საქართველოს პარლამენტის დელეგაცია, მისი სპიკერის ვახტანგ გოგუაძის მეთაურობით, რომელიც იქ გამართულ შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის მორიგი სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა. დელეგაციაში შედიოდნენ პარლამენტის წევრები მალხაზ ხარაძე, ქართლოს ღარიბაშვილი, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი ნოდარ კომახიძე.

საპარლამენტთაშორისო ასამბლეის ამ სხდომას, რომლის მუშაობაშიც შავი ზღვის აუზის 9 ქვეყნის პარლამენტების დელეგაციები მონაწილეობდნენ, თავმჯდომარეობდა ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი ზურაბ ანდრიაძე.

ასამბლეის მუშაობის დროს, რომელმაც ორ დღეს გასტანა, გაიმართა დისკუსიები სამართლებრივ, პოლიტიკურ, აგრეთვე კულტურის, განათლებისა და სოციალური სფეროს იმ საკითხებზე, რომლებიც დღეს შავი ზღვის აუზის ქვეყნებს აღელვებთ. ამასთან, ასამბლეაზე აირჩიეს ამ სამართლებრივ-პოლიტიკურ საკითხთა და კულტურის, განათლებისა და სოციალური სფეროს საკითხთა მუდმივმოქმედი კომიტეტების თავმჯდომარეები და კომიტეტთა შემადგენლობა.

თბილისის აეროპორტში ჩამოსვლისას საქართველოს პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა ვახტანგ გოგუაძემ სახელდახელოდ გამართულ პრესკონფერენციაზე მაღალი შეფასება მისცა სტამბოლის შეხვედრებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა, ისევე როგორც ჩვენი ურთიერთობა სხვა მეზობელ ქვეყნებთან, აღმავლობის გზას ადგას და სულ უფრო ვითარდება. საქართველოს დელეგაციას, მის ხელმძღვანელს, — თქვა მან, — პირადი შეხვედრები ჰქონდათ თურქეთის, რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, მოლდოვის, ალბანეთის, რუმინეთის წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრების დროს ბევრ ისეთ პრობლემას შევეხეთ, რომელთა გადაწყვეტასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ყველასათვის და, ცხადია, ჩვენი ქვეყნისთვისაც, — განაცხადა ვახტანგ გოგუაძემ.

თურქეთიდან დაბრუნებულ საქართველოს პარლამენტის დელეგაციას თბილისის აეროპორტში დახვდა თურქეთის რესპუბლიკის დროებითი რწმუნებული საქართველოში აჰმედ რიზა დემირელი.

შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის მორიგი სხდომა დეკემბერში გაიმართება კიევში.

ფოთში შეიქმნა შავი ზღვის ფლოტის სამხედრო კომენდატურა

როგორც შავი ზღვის ფლოტის შტაბიდან გვაცნობეს, 8 ნოემბერს ფოთში შეიქმნა მისი სამხედრო კომენდატურა. შტაბის მონაცემებით, საქართველოს სანაპიროზე ჰუმანური აქციის ფარგლებში სულ გადასხმულია შავი ზღვის ფლოტის 750 საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი 40 ერთეული ჯავშანტექნიკის მხარდაჭერით. ისინი იცავენ სატრანსპორტო კვანძებს, სარკინიგზო ლიანდაგებსა და მაგისტრალებს, ხიდებს. ზღვიდან ფოთის რაიონში სიტუაციას აკონტროლებს შავი ზღვის ფლოტის სამი საბრძოლო ხომალდი.

ფლოტის შტაბის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჰუმანური აქცია ნორმალურად მიმდინარეობს, ოპერაციის დაწყებიდან არ ყოფილა საზღვაო მედესანტეებზე თავდასხმის შემთხვევა. მან თქვა, რომ ჭორები იმის შესახებ, თითქოს მედესანტეთა შორის დახოცილები და დაჭრილები იყვნენ, სინამდვილეს არ შეესაბამება.

რუსეთი-საქართველო: უვიზო რეჟიმი

რუსეთის მხარე თანახმაა გაგრძელდეს უვიზო რეჟიმის მოქმედება რუსეთსა და საქართველოს შორის ორივე სახელმწიფოში მოქალაქეთა ურთიერთმოგზაურობისთვის, სანამ ეს საკითხი მუდმივ საფუძველზე არ გადაწყდება.

ამას იუწყება რუსეთის ფედერაციის თბილისის საელჩო ნოტაში, რომელიც გაუგზავნა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

ყველაფერი გაკეთდება ჩვენი ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის განსახორციელებლად

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფო მეთაურის პირადი და სრულუფლებიანი წარმომადგენლის ალექსანდრე კავსაძის განცხადება

უკანასკნელ ხანს სხვადასხვაგვარად იქნა ინტერპრეტირებული ჩემი მიდგომა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია განვმარტო, რომ მიმდინარე წლის 17 და 18 ოქტომბერს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან რ. ხიჯინავასთან ერთად ქ. ჟენევაში მქონდა საკონსულტაციო შეხვედრები გაეროს გენერალური მდივნის ბატონ ბუტროს ბუტროს გალის პირად წარმომადგენელთან ბატონ ედუარდ ბრუნერთან.

შეხვედრა კონსტრუქციულ და პრაგმატულ ხასიათს ატარებდა. ჩვენს მიერ გაკეთდა ოფიციალური განცხადება, რომლის 6 მუხლს უცვლელად ვაქვეყნებთ:

1. 16 სექტემბრის შემდგომ პერიოდში აფხაზეთის კონფლიქტის ტრაგიკული განვითარება მოითხოვს კონფლიქტის მოწესრიგების გეგმის რეალური მდგომარეობის ადეკვატურ კორექტირებას. საქართველოს მხარე დღესაც, აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციის პირობებში, პრიორიტეტულად მიიჩნევს კონფლიქტის მოწესრიგების პოლიტიკურ გზას, რადგან ჩვენი აზრით ჯერ კიდევ სრულად არ არის ამოწურული მისი შესაძლებლობანი. არსებობს მოლაპარაკების და კონსენსუსის მიღწევის საშუალებით პრობლემის მშვიდობიანი, ცივილიზებული გზით გადაჭრის ალბათობა.

2. საქართველოს მხარე სამშვიდობო მოლაპარაკების წარმოების აუცილებელ წინაპირობად განიხილავს აფხაზეთის მხარის მიერ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღიარებასა და საჯარო დადასტურებას, რაც გარანტირებულია გაეროს, ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი აქტებით, მათი ორგანოების გადაწყვეტილებებითა და საქართველო-რუსეთის ორმხრივი შეთანხმებებით.

3. საქართველოს მხარე მოითხოვს მსოფლიო თანამეგობრობის მიერ ობიექტური შეფასება მიეცეს აფხაზეთში განხორციელებულ ეთნიკურ წმენდასა და ქართველთა გენოციდს, ერთსულოვნად დაიგმოს იგი და მიღებულ იქნეს მკაცრი ზომები კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის გუდაუთის დაჯგუფების ლიდერთა გასასამართლებლად. ამ მიზნით საჭიროა ტრაგედიის გარემოებათა შემსწავლელი მისიისა და საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნა.

4. საქართველოს მხარე ფიქრობს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გუდაუთის დაჯგუფებაზე ეფექტიანი ზეწოლის მიზნით აქტიურად უნდა გამოიყენოს აფხაზეთის ეკონომიკური ბლოკადის შესაძლებლობანი, ეკონომიკური სანქციები გაატაროს მის მიმართ, არ ცნოს შესაძლო მონოეთნიკური რეფერენდუმის შედეგები.

უშიშროების საბჭო კი მოვალეა, ენერგიულად მოსთხოვოს ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს აფხაზ სეპარატისტებისათვის, რომლებიც გარეშე ძალის დახმარებით, დროებით აკონტროლებენ აფხაზეთის ტერიტორიას და, თვითგამორკვევის თეზისს ამოფარებულნი, უხეშად ხელყოფენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ყველა სახის (სამხედრო, ეკონომიკური, ფინანსური) დახმარების შეწყვეტა, კატეგორიულად აუკრძალოს მათთან პოლიტიკური კავშირების დამყარება.

5. საქართველოს მხარის აზრით კონფლიქტის მოწესრიგების პროცესი უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

5.1. გუდაუთის ადმინისტრაციის (აფხაზეთის უზენაესი საბჭო, გუდაუთაში არსებული მინისტრთა საბჭო) და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ერთდროულ გადადგომას.

5.2. აფხაზეთის ტერიტორიის მართვის ორგანოს — დროებითი ადმინისტრაციის შექმნას.

5.3. აფხაზეთის ტერიტორიაზე გაეროს შეიარაღებული ძალების განლაგებას, აფხაზური საჯარისო ნაწილების განიარაღებას. დაქირავებულ სამხედრო ფორმირებათა გაძევებასა და საქართველოს სასაზღვრო ჯარის მიერ მდ. ფსოუს გასწვრივ სახელმწიფო საზღვარზე კონტროლის აღდგენას.

5.4. კონფლიქტის პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩასახლებულ პირთა გაყვანას.

5.5 ლტოლვილთა დაბრუნებას და კონფლიქტამდე არსებული დემოგრაფიული სიტუაციის აღდგენას.

5.6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების ჩატარებას.

6.1. აფხაზეთის ხელისუფლების გადადგომის აუცილებლობას მყარი სამართლებრივი საფუძველი გააჩნია. აპარტეიდული შინაარსის მქონე საარჩევნო კანონის მიხედვით არჩეული აფხაზეთის უზენაესი საბჭო დაადგა აფხაზეთის კონსტიტუციისა და საკუთარი რეგლამენტის სისტემატური უხეში დარღვევის გზას. უკანონო მოქმედებით უზენაესმა საბჭომ ფაქტობრივად კანონგარეშე მდგომარეობაში ჩაიყენა თავი.

აფხაზური სეპარატიზმის ლიდერთა — უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელთა მიერ განხორციელებულმა აგრესიამ, ქართველთა გენოციდმა და ეთნიკურმა წმენდამ, თვით აფხაზი ხალხის გენეტიკური ფონდის მნიშვნელოვანმა განადგურებამ არავითარი მორალური უფლება არ დაუტოვა უზენაეს საბჭოს, იყოს აფხაზეთის მოსახლეობის წარმომადგენლობითი უმაღლესი ორგანო.

6.2. აფხაზეთში დროებითი ადმინისტრაციის ფუნქციები უნდა განახორციელოს სპეციალურმა კომიტეტმა, რომელშიც შევლენ აფხაზეთის მოსახლეობის წარმომადგენლები. კომიტეტის ძირითად ამოცანას, მიმდინარე ოპერატიული მმართველობითი ფუნქციების აღსრულებასთან ერთად წარმოადგენს კონფლიქტის მოწესრიგების ყველა შემდგომი ეტაპის განხორციელების ორგანიზაცია. მიგვაჩნია, რომ კომიტეტის თავმჯდომარე უნდა დაინიშნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ.

6.3. აფხაზმა სეპარატისტებმა ვერაგულად გამოიყენეს სოჭის სამხრივი შეთანხმების ყველაზე სუსტი მხარე — მიღწეული მყიფე მშვიდობის დაცვის მკაცრად განსაზღვრული მექანიზმის უქონლობა. ამდენად, მოლაპარაკების განახლების პროცესში კონტროლისა და გარანტიების სისტემის შექმნას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. პრობლემის მთელი სიმძიმე უნდა იტვირთოს რეალური სამხედრო შესაძლებლობების მქონე გაეროს შეიარაღებულმა ძალებმა. აფხაზეთში ამ ძალების განლაგების გზით მთელი ტერიტორიის დემილიტარიზაცია უნდა იქცეს მოლაპარაკების ერთ-ერთ ძირითად ფორმულად და ორიენტირად.

6.4. ეთნიკურმა წმენდამ და ქართული მოსახლეობის გენოციდმა აფხაზეთის ტერიტორია აფხაზური ვერ გახადა. მრავალრიცხოვანი დაქირავებული ბოევიკები გამარჯვების ფასად აფხაზურ მიწას მოითხოვენ და აფხაზი სეპარატისტებიც გულუხვად ასაჩუქრებენ მათ. ამდენად, თვით აფხაზებისათვის მომავალში ტრაგიკული შედეგების მქონე ამ პროცესისათვის ზღვარის დადებასა და გამოსახლებულ პირთა აფხაზეთის ტერიტორიიდან გასახლებას საქართველოს მხარე მიიჩნევს მოლაპარაკების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საგნად.

6.5. ლტოლვილთა დაბრუნების მექანიზმის შემუშავება კონფლიქტის მოწესრიგების გეგმის ქვაკუთხედი და ცენტრალური საკითხთაგანია. მუდმივი ბინადრობის ადგილიდან იძულებით აყრილი მოსახლეობის ნდობის მოპოვებისათვის აუცილებელია მყარი საერთაშორისო გარანტიების შექმნა. ეს გარემოება კი სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული გაეროს შეიარაღებული ძალების რაოდენობისა და დისლოკაციის განსაზღვრისას.

6.6. მოსალოდნელია, რომ კონფლიქტის მოწესრიგების ბოლო ეტაპისათვის საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული იქნება აფხაზეთის სტატუსი და მისი სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის საკითხები. ახლადშემუშავებული საარჩევნო დებულების საფუძველზე დროებითი ადმინისტრაცია უზრუნველყოფს დემოკრატიული, საყოველთაო არჩევნების ჩატარებას, რის შემდეგაც იგი არჩეულ წარმომადგენლობით ორგანოს მთელი მოცულობით და სისრულით გადასცემს სახელმწიფო ხელისუფლებას.

ბატონი ე. ბრუნერის მიერ გაზიარებული იქნა დასმული საკითხები. აზრთა გაცვლის შემდეგ ჩვენ შევთანხმდით, რომ გაგვეგრძელებინა კონტაქტები და თუ ამის საშუალება იქნებოდა შეხვედრებიც.

ერთ-ერთი ასეთი სამუშაო შეხვედრა დაგეგმილი გვაქვს მიმდინარე წლის 6 ნოემბრისათვის.

ცნობისათვის — გაეროს ფაქტების დამდგენი მისია უკვე შეუდგა მუშაობას, უშიშროების საბჭომ თავისი უკანასკნელი რეზოლუციით მოუწოდა სახელმწიფოებს არ აღმოუჩინონ არავითარი დახმარება (გარდა ჰუმანიტარულისა) აფხაზ სეპარატისტებს. განხილვის პროცესშია სხვა კონკრეტული წინადადებებიც.

ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რათა ჩვენი ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე განხორციელდეს საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია.

ალექსანდრე კავსაძე.

ცნობები დასავლეთ საქართველოდან

სამთავრობო ჯარები აქტიურად მოქმედებენ

როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრიდან შეგვატყობინეს, ქალაქების ზუგდიდისა და წალენჯიხისათვის კონტროლის დაწესების შემდეგ, სამთავრობო ჯარებისა და სამხედრო პოლიციის ქვეგანაყოფებმა დაიკავეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი — სოფელი მუხური წალენჯიხა-ჩხოროწყუს ტრასის შესაყარზე. ტყვედ აყვანილთა შორის არიან ჩრდილოკავკასიელი და აფხაზი ბოევიკები. გრძელდება ექსპრეზიდენტის მომხრეთა უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისაგან რეგიონის გაწმენდის ოპერაციები, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შინაგანი ჯარების ნაწილებმა გაათავისუფლეს რამდენიმე მთიანი სოფელი მარტვილის რაიონში.

ცეცხლი დაუშინეს შვეულმფრენს

7 ნოემბერს საქართველოს სამთავრობო ჯარებისა და რუსეთის არმიის ქვეგანაყოფების მიერ ფოთის ნავსადგურის გაწმენდის ოპერაციის განხორციელებისას უცნობმა პირებმა ცეცხლი დაუშინეს შვეულმფრენს, რომელშიც იმყოფებოდა საქართველოს უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე. არავინ არ დაშავებულა, ერთობლივი ოპერაცია გრძელდება.

ბრძოლა აღარ სურთ

სამთავრობო ჯარებმა დააკავეს ექსპრეზიდენტის შეიარაღებულ ფორმირებათა მეთაურის მოადგილე — ვინმე ბულია. დაკითხვისას მან განაცხადა, რომ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა შემადგენლობის დაახლოებით 70 პროცენტს აღარ სურს იბრძოლოს ექსპრეზიდენტისათვის და გადაწყვიტეს დაბრუნდნენ შინ. როგორც ბულიამ თქვა, ზ. გამსახურდია თავის მომხრეებს მოუწოდებს გაემგზავრონ ჩეჩნეთში, სადაც პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევს მათთვის თითქოს გამოეყოს 100 ჰექტარი მიწა.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

საარჩევნო კამპანიის მეორე ეტაპი

რუსეთში იწყება წინასაარჩევნო კამპანიის მეორე ეტაპი. 6 ნოემბერს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციაში გატარებული 35 პარტიიდან და მოძრაობიდან მხოლოდ 21-მა შესძლო შეეგროვებინა მხარდამჭერთა საჭირო რაოდენობა — არანაკლებ 100 000 ხელმოწერა. საარჩევნო კანონის მიხედვით, პარტიებს მხოლოდ საარჩევნო ბლოკებში გაერთიანებით შეეძლოთ 12 დეკემბრის პარლამენტის — ფედერალური კრების არჩევნებში მონაწილეობა.

დღესასწაულის აღსანიშნავად

კვირას ოქტომბრის რევოლუციის 76 წლისთავი აღინიშნა რუსეთისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში. მიტინგები სხვადასხვა ქალაქებში არ იყო მრავალრიცხოვანი. მოსკოვში ხელისუფალთა მიერ მათი აკრძალვის მიუხედავად, ოქტომბრის მოედანზე მოქალაქეთა ცალკეული ჯგუფები შეიკრიბა. მაგრამ ისინი, მილიციამ ექსცესების გარეშე დაფანტა და, როგორც მოსკოვის რადიო აღნიშნავს, კვირამ მოსკოვში მშვიდად ჩაიარა. სანკტ-პეტერბურგში კომუნიზმის იდეების ორიათასზე მეტმა მხარდამჭერმა მიტინგი გამართა კრეისერ „ავრორასთან". მანიფესტაციები და მიტინგები გაიმართა უკრაინის მრავალ დიდ ქალაქში.

პრემიერ-მინისტრი მხარს უჭერს

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა (რომელიც ამჟამად ავსტრიაში ვიზიტად იმყოფება) განაცხადა, რომ მხარს უჭერს პრეზიდენტ ბორის ელცინის გადაწყვეტილებას არ დანიშნოს 1994 წლის ივნისში პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნები. მან თქვა, რომ ბორის ელცინი რუსეთის ხალხის ნდობით სარგებლობს და უნდა განაგრძოს მუშაობა მისი უფლებამოსილების დამთავრებამდე (1996 წელი). ამ განცხადების ტექსტი იტარ-ტასსის კორესპონდენტს გადაეცა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

ყაზახეთისა და ლიტვის პრეზიდენტებმა ნურსულთან ნაზარბაევმა და ალგირდას ბრაზაუსკასმა კვირას ალმათში ხელი მოაწერეს მთელ რიგ შეთანხმებებს, მათ შორის ხელმოწერილია შეთანხმება ყაზახეთსა და ლიტვას შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შესახებ. ხელმოწერის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ნაზარბაევმა ხაზგასმით აღნიშნა ყაზახეთის საგანგებო დაინტერესება — გამოიყენონ ლიტვის პორტი კლაიპედა ბალტიის ზღვით ევროპაში ტვირთის გადასაზიდად. თავის მხრივ ლიტვის სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, რომ მის ქვეყანას სჭირდება ყაზახეთის ქვანახშირი, ნავთობი და ხორბალი.

პრეზიდენტის განცხადება

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა განაცხადა. რომ მისი ქვეყანა არ დაუშვებს ჩრდილოეთ კორეის მიერ ატომური ბომბის შექმნას. ტელეკომპანია ენ-ბი-სი-სთვის ინტერვიუში, მან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ფხენიანის ბირთვული ამბიციების მიმართ მკაცრი იქნება. კლინტონს არ გაუკეთებია კომენტარი შეერთებული შტატების მხრივ პრევენტული დარტყმის შესაძლებლობის შესახებ ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ ობიექტებზე. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ კორეის სამხრეთ კორეაზე თავდასხმის შემთხვევაში მისი ადმინისტრაცია ამ ფაქტს განიხილავს, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებზე თავდასხმას.

ბორის ელცინის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის გადაწყვეტილება, არამიზანშეწონილია 1994 წლის ივნისში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება, ნაკარნახევი იყო 4 ოქტომბერს პარლამენტის ოპოზიციაზე გამარჯვების ლოგიკით, აღნიშნავს ფრანგული გაზეთი „ეკო".

წინადადება პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების მომავალი წლის ივლისში მოწყობის შესახებ, რომელიც ბორის ელცინმა 29 სექტემბერს გააკეთა, იყო დეპუტატებთან კომპრომისის მიღწევის მცდელობა. მაგრამ იმის გამო, რომ პარლამენტარებმა აჯანყების გზა აირჩიეს, ეს დათმობა თავისთავად მოიხსნა, ხაზს უსვამს გაზეთი. გარდა ამისა, თუ პრეზიდენტი თანამდებობაზე თავისი მანდატის (1996 წ). ვადის გასვლამდე დარჩება, ეს შესაძლებლობას მისცემს მას თავიდან აიცილოს არასტაბილურობა, რომელიც აუცილებლად წარმოიშვებოდა პარლამენტის არჩევნების შემდეგ უახლოესი ნახევარი წლის მანძილზე (მხედველობაშია ის გარემოება, რომ დეპუტატობის მანდატებისთვის იბრძვიან სხვადასხვა პოლიტიკური ფორმირებების წარმომადგენლები). მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაციის ახალი კონსტიტუცია, გარკვეულ უპირატესობებს მიანიჭებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, არასტაბილურობას გამოიწვევს გაურკვევლობა, ვინ უნდა გახდეს სახელმწიფოს მეთაური. ამასთან, პარლამენტის მრავალსახეობა შეიცავს ძალიან სერიოზული შედეგების საშიშროებას.

გერმანული „ნოიე ოსნაბრიუკერ ცაიტუნგი" მიიჩნევს, რომ ბორის ელცინი კაპიტალურ შეცდომას დაუშვებს, თუ მომავალი წლის ივნისში არ დანიშნავს საპრეზიდენტო არჩევნებს; რომ რუსეთის პრეზიდენტმა არ უნდა გატეხოს მიცემული სიტყვა. პარლამენტის დეკემბრის არჩევნების შემდეგ, პრეზიდენტის პირისპირ აღმოჩნდება სახალხო წარმომადგენლობა — უმწიკვლო თავისი ლეგიტიმურობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, აუცილებელია ანგარიშის გაწევა პარლამენტში კონსერვატიული ძალებისთვის, რომლებიც რეფორმებისადმი მტრულად არიან განწყობილი; რომ ელცინი ადვილად გახდებოდა მათი პროპაგანდის მსხვერპლი. ისინი დაადანაშაულებენ მას მიცემული სიტყვის გატეხვაში. ამით კონფრონტაცია სულ სხვა თვისობრივობას შეიძენს, ვიდრე ადრინდელი კონფლიქტი რეფორმატორებსა და „მუდმივად გუშინდელებს" შორის. მეორე გერმანული გაზეთის „ფრანკფურტერ რუნდშაუს" აზრით, ელცინის განცხადება არ შეიძლება მოულოდნელად იქნეს მიჩნეული. მან ელეგანტურად და მორიდებით შესთავაზა ახალ პარლამენტს ამ საკითხის გადაწყვეტა. მაგრამ ეს პარლამენტი პრეზიდენტისათვის მრავალმხრივ უცნობი სიდიდე იქნება. მან არ იცის იქნება თუ არა იქ მისი კრიტიკოსების უმეტესობა, არც ის, მოითხოვს თუ არა ვინმე მისი ახლო წრიდან, რომ მან აღნიშნული დაპირება შეასრულოს.

კვირას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა მხარი დაუჭირა ბორის ელცინს. როგორც მისი ადმინისტრაციის ოფიციალური წარმომადგენლები აცხადებენ, ისინი დარწმუნებული არ არიან, რა იმალება რუსეთის ხელმძღვანელის განცხადების მიღმა უარი თქვას პრეზიდენტის ვადამდელ არჩევნებზე. გაზეთი „ნიუ-იორკ თაიმსი" წერს: ადმინისტრაციის ოფიციალური პირების განცხადებით, ელცინი შესაძლებელია მიანიშნებს ამომრჩევლებს მისთვის უფრო მისაღებ ვარიანტზე. ისინი აგრეთვე აცხადებენ, რომ ელცინმა შესაძლოა თავის არჩევანზე მიუთითოს კანდიდატების საკანონმდებლო კრებაში, და მათ ამ საკითხის განხილვა მოუხდეთ.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ექო: „მეოთხე" — ეკრანიდან პრესაში

ჩვენ, „ჰომო სოვიეტიკუსები"— თქვენ, „სელფ-მეიდებს!"

(დასასრული)

ნების გაერთიანებაში, ნავთობსადენის ტრასის გატარების მცდელობას საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ თუ აღნიშნული გაერთიანება უფრო მეტად ჰუმანურ პრობლემებზეა აქცენტირებული, ამ ტრასის გაყვანას წინ ისევ რუსეთი აღუდგა, რომელმაც ყოველმხრივ შეუწყო ხელი ამ რეგიონის დესტაბილიზაციას და ფაქტობრივად ხელი აგვაღებინა ამ მიმართულებით შემდგომ მცდელობაზე, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში. აქ, ალბათ, ჩნდება კითხვა: ამოვწურეთ მთლიანად ჩვენი შესაძლებლობები? ჩემი აზრით, არა, მაგრამ ამაზე საუბარი ახლა ძალზე შორს წაგვიყვანს.

აფხაზეთი სრულიად სხვა საუბრის თემაა. სანამ მას შევეხებოდეთ, აქსიომატიკაზე უნდა შევთანხმდეთ. ჯერ აღვნიშნოთ, რომ ეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის პრობლემა არ არის. აფხაზები საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები აბორიგენი ერია, მათ სხვა სამშობლო არა აქვთ და პრობლემაც, აქედან გამომდინარე, საერთაშორისო მასშტაბისაა. თუ მას მხოლოდ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ფარგლებში ჩავკეტავთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტის სადავეები მხოლოდ რუსეთის ხელში იქნება და მოვლენების განვითარების პროგნოზი ნაკლებად პერსპექტიულია.

შეიძლებოდა თუ არა ამ ომის მოგება?

ინფორმაციის იმ მცირე რაოდენობის ანალიზის შედეგად, რაც მაქვს და ამას განსაკუთრებულად ვუსვამ ხაზს, მაინც მგონია, რომ — შეგვეძლო. შეგვეძლო, თუ ჩვენი პოლიტიკა დააფიქსირებდა ომს მთლიანი ატრიბუტიკით: მოწინააღმდეგის სტრატეგიას, ტაქტიკას, გაასამხედროებდა სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკას და ჩამოაყალიბებდა კონკრეტულ მიზანს — არავითარ შემთხვევაში არ დავთმობთ არც ერთ კვადრატულ სანტიმეტრს ქართულ-აფხაზური მიწისა. ამ პირობებში ჩვენ გვქონდა წარმატების შანსი.

ასე ვმსჯელობ მხოლოდ იმიტომ, რომ გარკვეულად გააზრებული მაქვს აფხაზეთში მიმდინარე შიგა პროცესებიც და ის ჩემთვის გაუგებარი დამოკიდებულება ხელისუფლებისა ამ ომისადმი, რის მოწმეც ჩვენ ყველანი ვართ.

დიალოგი. ეს პრობლემაც ისევ სახელმწიფო ცნობიერების დეფიციტთან არის დაკავშირებული.

საზოგადოებაში არსებობს გარკვეული ფენა, რომელიც ოფიციალური ხელისუფლების წინააღმდეგია. ძლიერი ხელისუფლება, მე მგონია, პირველი დგამს შემხვედრ ნაბიჯებს ამ ფენისკენ და ეს მისი საამაყო მოვალეობაა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ნაბიჯები შედეგს ვერ მოიტანს. ხელისუფლებას მეტი მორალური უფლება აქვს შეებრძოლოს მას, როგორც ამბოხებულთ. ის, რაც ჩვენში ხდება, მე სამოქალაქო ომს უფრო მაგონებს, ვიდრე აჯანყების ჩაქრობის მცდელობას, რაზეც პასუხისმგებლობა მთლიანად ხელისუფლებას და, პირველ რიგში, პარლამენტს ეკისრება.

ნოდარ კოხრეიძე — დამოუკიდებელი დეპუტატი:

— **რუსეთთან** ურთიერთობა როგორც სახელმწიფოებრივი, ისე, გნებავთ, მეგობრული თვალსაზრისით, გამართლებულად მიმაჩნდა ყოველთვის. ოღონდ, რასაკვირველია, საქართველოს სუვერენიტეტის სრული დაცვით. გაუმართლებელია ერის თუ კაცის ასეთი გინება, რასაც ჩვენ ჩავდივართ ბოლო წლებში. შეიძლება ერთ კაცზე იყო ნაწყენი, მაგრამ მთლიანად ერს შემოსწყრე?

ჯერ კიდევ შარშან წამოვაყენე წინადადება „სნგ"-ში შესვლა არშესვლის საკითხი რეფერენდუმით გადაგვეწყვიტათ-მეთქი. რუსეთთან ურთიერთობის საქმე ერთი წლის წინათ რომ მოგვარებულიყო, ჩვენთვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა. რამდენჯერაც გინდათ, იმდენჯერ გავიმეორებ ხმამაღლა, რომ ამაოდ გვეშინია რუსეთთან ურთიერთობისა — არც ენას გვართმევს არავინ და არც თავისუფლებას. დიდი შეცდომაა წლების განმავლობაში გაბმული ძაფების აგრე ერთბაშად გაწყვეტა, ამან ჩაგვაგდო ეკონომიკურ კრიზისში. იმისიც ტყუილად გვეშინია, რომ თანამეგობრობაში შესვლის გამო დასავლეთთან კონტაქტების საშუალებას დავკარგავთ. პირიქით, დასავლეთის სამყარო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, თუ როგორი ურთიერთობა გვაქვს რუსეთთან.

სამეგრელოს პრობლემა. ჩემი ღრმა რწმენით მისი თავიდან აცილება შეიძლებოდა. გადამწყვეტად უნდა გვემოქმედა მანამ, სანამ ასე მოძლიერდებოდა ქობალიას შეიარაღებული ფორმირება. ზედმეტად ლოიალური პოლიტიკა ყოველთვის არ ამართლებს.

— ეს რაც წარსულში იყო. დღეს სადღაა საშველი?

— სამწუხაროდ, დღეს ყოველგვარ დიალოგზე ლაპარაკი ზედმეტია. დიალოგების გამოდევნებამ გააჭიანურა ეს საქმე ასე. რამდენჯერ შეთანხმდნენ და რამდენჯერ ჩაიშალა შეთანხმება!

თავისთავად მოდის წარსულ დროებათა პოლიტიკოსების მუდმივი კითხვები — „რა ვაკეთოთ", „რით დავიწყოთ?".

— დისციპლინის აღდგენით.

— ეს ზოგადად. უფრო კონკრეტულად?

— უპირველესად ყაჩაღობას და ძარცვა-გლეჯვას უნდა მოეღოს ბოლო. ისე არაფერი გამოვა.

ბოლოს და ბოლოს რა გახდა ასეთი?! რით ვერ აიღო სახელმწიფომ ძირითად საარსებო საშუალებებზე მონოპოლია. როდემდე უნდა იძახოს პოლიციელმა, ბენზინი არა მაქვს, რა საქმეს მთხოვთო?.. პურის პრობლემას როგორ ვერ უნდა მოევლოს? ჰუმანური დახმარების ადგილებამდე მისვლა გადაულახავ სიძნელედ რად უნდა იდგეს?!

შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, საბაჟოს უმოქმედობით როდემდე უნდა ეზიდებოდნენ ჩვენ ქონებას საზღვარგარეთ? როდემდე?

დავით გურამიშვილის საქართველოს თუ მოვესწრებოდი, ამას როგორ ვიფიქრებდი.

გვგონია როლები შევცვალეთ და ჩვენს რესპონდენტს თავად უფრო მეტი კითხვა აწუხებს.

— ჩემი აზრით, იდეოლოგიას უნდა მივხედოთ უპირველესად. ძველი უარვყავით, კი, ბატონო, გადასაგდები იყო, მაგრამ მისი ადგილი რით შევავსეთ? აუცილებელია ქართული ეროვნული სულიერი სამყაროდან გამომდინარე, შოთას, ილიას, ვაჟას სამყაროსთან მისადაგებული, იდეოლოგიის შეთავაზება ადამიანებისათვის, ჩვენი იდეალი ერთიანი, ძლიერი საქართველო უნდა იყოს და არა კუთხეებად დახლეჩილი.

ისტორიკოსი ვარ და ვიცი, უარეს დღეშიც ყოფილა საქართველო. გადავრჩებით უთუოდ, გონიერებას უნდა მოვუხმოთ მხოლოდ...

ბატონ ნოდართან ერთად კითხვები უთუოდ სხვებსაც გაუჩნდებოდა — დღეს პასუხები ჭირს, თორემ კითხვები ვის არ გვაწუხებს. ზოგ მათგანს დრო უპასუხებს, ზოგს — სიტუაცია, ზოგს — რეაქცია, ზოგს შიში დაადუმებს, ბევრიც პასუხგაუცემელი დარჩება (კარგა ხანს მაინც). დრო არც ისეთი გულუბრყვილოა, ყველაფერი ერთბაშად გაგვანდოს, იგი ისევ აიღებს პირველ სიტყვას უნებართვოდ, ოღონდ დროს დრო სჭირდება და ამას დიდი გაგების ისტორია ჰქვია.

გალინა ხარებაშვილი
ირინე ჩომახიძე.

დავიჯეროთ?.. საქართველო — ტურიზმის ქვეყანა!..

საქართველო „საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციის" ნამდვილი წევრი გახდა. ჩვენ გულითადად ვულოცავთ საქართველოს რესპუბლიკის ტურიზმის დეპარტამენტს, კერძოდ კი მის თავმჯდომარეს ბატონ კონსტანტინე სალიას, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ამ საქმის დაგვირგვინებაში,

იგი ესაუბრება ჩვენს კორესპონდენტს:

— საქმე, რომელიც ჩვენ წამოვიწყეთ უდავოდ რთული და პასუხსაგები იყო. გავედი საერთაშორისო არენაზე ისეთ დროს, როცა ინგრევა და ნადგურდება ყველაფერი, არანაირი საშუალება არ არის ქვეყნის აღმშენებლობისათვის და მხოლოდ მის სამომავლო პერსპექტივაზე იფიქრო, დამეთანხმებით ძნელზე ძნელია. მაგრამ მიზანი მიღწეულია. ახლა იმის შესახებ, თუ რა ამოცანები აქვს „საერთაშორისო ტურისტულ ორგანიზაციას", ასე რომ მივისწრაფოდით მისკენ.

ეს ორგანიზაცია განსაკუთრებულად აქცევს ყურადღებას განვითარებად ქვეყნებში ტურიზმის აღმავლობას. ორგანიზაციამ წამყვანი როლი რომ შეასრულოს ტურიზმში, იგი ეფექტურად თანამშრომლობს გაეროს სათანადო ორგანოებთან და მის სპეციალიზებულ უწყებებთან. აქედან გამომდინარე საერთაშორისო ტურისტულ ორგანიზაციას შესაძლებლობა აქვს საქმიანი ურთიერთობა დაამყაროს გაეროს განვითარების პროგრამასთან, რომელიც აქტიურ მონაწილეობას მოითხოვს ყველასგან. „მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციას" შტაბ-ბინა ესპანეთში აქვს — მადრიდში. ჰყავს ხელმძღვანელი ორგანოები — გენერალური ასამბლეა, აღმასრულებელი საბჭო და სამდივნო. ეს ასამბლეა ნამდვილი წევრებისაგან შედგება, რომელთა შორის ჩვენი ქვეყანაცაა. მას ხელმძღვანელობენ პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, გენერალური მდივანი და სხვა სტრუქტურები. ორგანიზაცია მსოფლიოს 130-ზე მეტ სახელმწიფოს აერთიანებს. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან რამდენიმე ვართ. ამ სახელმწიფო ტურისტულ გაერთიანებაში საქართველოს რესპუბლიკა ტურიზმის დეპარტამენტის სახითაა წარმოდგენილი.

— როგორ გესახებათ თქვენი საქმიანობა და, საერთოდ, რა პერსპექტივა ექნება საქართველოს მასში გაწევრიანებით?

— დავიწყოთ იმით, რომ სხვა თუ არაფერი, უბრალოდ ინფორმირებულები ვიქნებით საერთაშორისო ტურიზმის განვითარების პრობლემებითა და ამოცანებით, ამაში იმდენი წვრილმანი რამ იგულისხმება, უბრალო ტურისტული სტატისტიკიდან დაწყებული საკანონმდებლო აქტებით დამთავრებული, რომლის გარეშე თანამედროვე ტურიზმის წინსვლა შეუძლებელია. ჩვენ საშუალება გვეძლევა მსოფლიო ტურიზმის ინტეგრაციის პროცესებში ჩართვისა და რაც მთავარია სურვილისამებრ მოვემსახუროთ ჩვენს თანამემამულეებს და ვანახოთ მსოფლიოს სხვა ხალხებს ჩვენი ქვეყანა. შეიქმნა თუ არა ტურიზმის სახელმწიფო მმართველობითი ორგანო, დეპარტამენტი, ადრე მას ტურიზმის კომიტეტი ერქვა, დავიწყეთ ზრუნვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირების დასამყარებლად. უპირველეს ამოცანად დავისახეთ, რა თქმა უნდა, სპეციალურ ტურისტულ ორგანიზაციებთან გზების გამონახვა. შევძელით კიდეც მათთან უკეთ დაახლოვების და საქმიანობის შესწავლის მიზნით „საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციის" მიერ მოწყობილ რამდენიმე სემინარში მივიღეთ მონაწილეობა ბუდაპეშტში, სტამბოლსა და პარიზში. მასში მონაწილეობით მოვახერხეთ ჩვენი ორგანიზაციის პრეზენტაცია მოგვეწყო თავისი გეგმების, ამოცანებისა და პოტენციალის წარმოჩინებით. ასევე შევეცადეთ, ჩვენი მხრიდან საერთაშორისო ორგანიზაცია დაგვერწმუნებინა თუ როგორი სურვილი და სერიოზული ზრახვები ჰქონდა საქართველოს ტურიზმის განვითარებისა და სხვა ქვეყნების ამავე ორგანიზაციებთან ურთიერთობისა, როგორც ნათელი გახდა, მცდელობას უკვალოდ არ ჩაუვლია.

— ბატონო კოტე, ინდონეზიის ქალაქ ბალში 29 სექტემბერს მეათე საერთაშორისო გენერალურ ასამბლეაზე უნდა განხილულიყო საკითხი საქართველოს საერთაშორისო ტურისტულ ორგანიზაციაში ნამდვილ წევრად მიღების თაობაზე. მას რესპუბლიკის დელეგაცია აუცილებლად უნდა დასწრებოდა, მაგრამ...

— მზად ვიყავით გასამგზავრებლად, როცა თავს დიდი უბედურება დაგვატყდა. პირადად მე ორი დილემის შუა აღმოვჩნდი. იქ ვეებერთელა საქმე უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ მქონდა კი მორალური უფლება მშვიდად გავმგზავრებულიყავი ინდონეზიაში, როცა სახელმწიფოს ასეთი დიდი სამივლინებო თანხა უნდა გადაეხადა?! გადავწყვიტე სარისკო ნაბიჯი გადამედგა — ვამჯობინე სახელმწიფოს ეს თანხა უფრო მნიშვნელოვანი საქმისათვის გამოეყენებინა. უარი ვთქვი გამგზავრებაზე და თხოვნის წერილით მივმართე „მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის" ხელმძღვანელობას, ასევე თვით მეათე გენერალურ ასამბლეას, გაეთვალისწინებინათ ჩემს სამშობლოში შექმნილი ვითარება და ქართველთა დაუსწრებლად განეხილათ საქართველოს გაწევრიანების საკითხი. ახლა ხომ მიმიხვდებით, რა უზომო სიხარული გვაქვს. განა შეიძლება არ დაინახო ის, თუ როგორ დაგვაფასეს, როგორ გაგვიგეს და გაითავისეს ჩვენი ტკივილი და მხარში ამოგვიდგნენ? ეს ფაქტი, მათაც სიხარულით რომ აიტაცეს, იქიდანაც ჩანს, რომ საქართველოში ოფიციალური დოკუმენტების მიღებამდე ევროპის ტურისტული მოძრაობის კოორდინატორმა ვეტორ ჯუსტმა ყოველივე ჩემს სახელზე გამოგზავნილ პირად მოსალოც წერილში მამცნო.

მან ასევე გამოთქვა სურვილი, მომავალი წლის დასაწყისში მოინახულოს საქართველო ოფიციალური ვიზიტით.

ია კალანდარიშვილი.

საჭიროა ეფექტიანი მოქმედება

მოსკოვი, 6 ნოემბერი. (იტარ-ტასს-საქინფორმი). როგორც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ბორის პასტუხოვს მიაჩნია, 5-6 ნოემბერს მოსკოვში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან ედუარდ ბრუნერთან გამართული შეხვედრების მთავარი შედეგი ის არის, რომ გაეროსა და რუსეთის ერთიანი აზრით აუცილებელია ეფექტიანი და გადაუდებელი მოქმედება ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის მოსაგვარებლად. 6 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში სამუშაო კონსულტაციების დამთავრებისთანავე იტარ-ტასსის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ბორის პასტუხოვმა ხაზგასმით აღნიშნა: უაღრესად დიდმნიშვნელოვნად მიმაჩნია ის, რომ „ედუარდ ბრუნერი, ორივე მხარე გაგებით ეკიდებიან გაეროსა და რუსეთის ძალისხმევის გაერთიანებას ამ კონფლიქტის გადასაწყვეტად". კონსულტაციებმა, რომლებსაც მან „სასარგებლო" უწოდა, საშუალება მისცა მხარეებს ჩამოეყალიბებინათ პრობლემის მათეული გაგება და ხელი შეუწყო პოზიციათა დაახლოებას. აღნიშნა, რომ „არსებობს კონფლიქტის მოწესრიგების მიღწევის რეალური შესაძლებლობანი".

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართული საუბრების დროს განიხილეს გაეროს ეგიდით და რუსეთის შუამდგომლობით კონფლიქტის მონაწილე მხარეების სპეციალური შეხვედრის მოწყობის იდეა, რომელიც, სავარაუდოდ, შეიძლება ჟენევაში გაიმართოს უკვე ამ თვის დამლევს.

გაიმართა კონსულტაციები

მოსკოვი, (იტარ-ტასს-საქინფორმი). გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა, ედუარდ ბრუნერმა მოსკოვში სამუშაო კონსულტაციები გამართა ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის მოწესრიგების პრობლემაზე. იგი რუსეთის დედაქალაქში ჩავიდა 5 ნოემბერს კონფლიქტის მონაწილე მხარეთა წარმომადგენლებთან კონსულტაციების შემდეგ.

რუსეთ-აფხაზეთის კონსულტაციები მოსკოვში

რუსეთის პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა საქართველოში კონფლიქტის მოწესრიგებისათვის მოქმედების კოორდინაციის საკითხებში, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბორის პასტუხოვმა ხუთშაბათს მოსკოვში მიიღო აფხაზეთის დელეგაცია პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ზოკრატ ჯინჯოლიას მეთაურობით.

კონსულტაციების დროს ბ. პასტუხოვმა დაადასტურა რუსეთის ფედერაციის მთავრობის 1993 წლის 16 სექტემბრის განცხადებაში გამოთქმული პოზიცია, რომლის შესაბამისად აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ სოჭის შეთანხმებების ჩაშლისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება აფხაზ ხელმძღვანელობას. რუსეთი, ხაზგასმით აღნიშნა მინისტრის მოადგილემ, ადგას გზას, რომელიც არ ცნობს „მომხდარი ფაქტების პოლიტიკას", ძალის გამოყენებისა და ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევის გზით მიღებულ შედეგებს.

ბ. პასტუხოვმა მხარი დაუჭირა კონფლიქტის მონაწილე მხარეთა დიალოგის განახლებას გაეროსა და რუსეთის შუამდგომლობით, სოჭის მორიგებათა ძირითადი დებულებების შესრულებას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო მოსახლეობის დევნას, ადამიანის უფლებათა დარღვევების დაუყოვნებლივ შეწყვეტას, ეთნიკური წმენდის პოლიტიკაზე უარის თქმას, აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნებისათვის უსაფრთხოების რეალური გარანტიების შექმნას.

ბ. პასტუხოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გზაზე პროგრესის მიღწევა საშუალებას მისცემს რუსეთს თანდათანობით მოხსნას შეზღუდვები აფხაზეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ და საკრედიტო-საფინანსო ურთიერთობაზე, რომლებიც შემოღებული იყო აფხაზების მიერ საბრძოლო მოქმედებათა განახლების შემდეგ.

დაბადების 156-ე წლისთავთან დაკავშირებით

ილია ჭავჭავაძე: „ამას ვამბობ და ვღაღადებ...“

საქართველოს სულიერი წინამძღოლის დიდი ილიას მრავალსახოვან ნაფიქრ-ნააზრევში არაერთი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული რუსეთსა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა შესახებ. გვსურს შემოგთავაზოთ რამდენიმე მათგანი. ეჭვი არ გვეპარება, ამ ჩვენს პუბლიკაციას დაუხანებლად გამოეხმაურებიან მკაცრი ოპონენტები, რომლებიც გვიყიჟინებენ, — ილია ჭავჭავაძეს ჩვენი ჩრდილოეთელი მეზობლის შესახებ „მკაცრი“ გამონათქვამებიც აქვს და ისინი რა უყავითო?! ამდაგვარ ოპონენტებს მოკრძალებით შევახსენებთ, რომ სულმნათმა მამულიშვილმა, როგორც მოქნილმა დიპლომატმა და ჭკვიანმა, შორსმჭვრეტელმა პოლიტიკოსმა მშვენივრად უწყოდა, როდის რა და როგორ ეთქვა. ამიტომ, მოდით, ვენდოთ ანდერძის ტოლფას მის შეგონებებს და დღეს, როდესაც რუსეთსა და საქართველოს შორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ახალი პერსპექტივები ისახება, ჩვენც ვთქვათ და ვიმოქმედოთ ისე, როგორც ეს საქართველოს ერთიანობას, ივერთა მხარის ბედნიერ მერმისს გამოადგება.

გიორგი გაბუნია,
საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული მშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

„**რუსეთი** ერთი იმისთანა სახელმწიფოა, სადაც სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი ცხოვრობენ, და მერე ისე, რომ თავიანთ მამაპაპეულ მიწა-წყალზედ შეჯგუფებულნი არიან და არა შიგადაშიგ გაფანტულნი. ამიტომაც ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მერე — როგორ უნდა მოთავსდნენ სახელმწიფოსთან. დიდი ხანია მოსალოდნელი იყო ყველა თვალხილულ კაცისათვის, რომ დღეს თუ ხვალე ეს ფრიად რთული და მძიმე საგანი მთელის თავისის სიგრძით და სიგანით წინ აეყუდებოდა რუსეთს და მის გადაუწყვეტლად მისი წინსვლა შეფერხდებოდა. ყველას უნდა წინასწარ სცოდნოდა, რომ დღეს თუ ხვალე ეს საგანი თავისას მოითხოვდა; რომ დღეს თუ ხვალე რუსეთი იძულებული შეიქმნებოდა დაენიშნა სამზღვარი სახელმწიფო მოქმედებისა საზოგადოდ და ეროვნებისა ცალკედ და ერთისა და მეორის მოედანი ცალ-ცალკე შემოეფარგლა. ამას მოითხოვდა არამც თუ მარტო ისტორიული მიმდინარეობა სამართლიანის აზრისა, არამც თუ მარტო შორსმხედველობა დამჯდარის ჭკუისა, არამედ თითონ სახელმწიფოს პირდაპირი ინტერესიცა. თუ რამ სამდურავი, გულის ტკენის ხმა, ჩივილი ისმოდა აწმყო მდგომარეობის შესახებ ამ ვრცელის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში, ამის მიზეზი მარტო ის იყო, რომ მთელი მოედანი საზოგადოების ცხოვრებისა მარტო სახელმწიფოს ეჭირა, და ეროვნება, რომელსაც თავის განსაკუთრებულს ცხოვრებაში თავისი საკუთარი საქმე აქვს, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი, გულხელდაკრეფილი იყო და ხმაამოუღებლივ სხვის მაყურებელი. რუსეთს არა ჰქონია და არც დღესაქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედააზრი მასზედ, — თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და სად იწყება სახელმწიფოსი“. (ი. ჭავჭავაძე, თხზ. ათ ტომად, ტ. V, გვ. 79-80; გვ. 141-142).

„**მთელი** ჩვენი ისტორიული დღენი მოვლალეთ და შევალიეთ სამხრეთის კარის დაკეტას და ვერა გავაწყეთ-რა. ღონემიხდილმა და დაქანცულმა საქართველომ აიღო თავი და შეაფარა დიდ რუსეთის იმპერიას, მტერს არ დაჰნებდა და მეგობართაკენ პირი ჰქმნა და გული მიიბრუნა“. (ტ. VIII, გვ. 194).

„**რა** საჭიროა დამალვა: ჩვენ უცილობლად გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ხოლო არც საჭიროა სიყალბე: მარტო მით, რომ ჩვენ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, გვიყვარს რუსეთიცა. ეს ისეთი ბუნებრივია, ისეთი ცხადია, ისეთი ადვილად გასაგებია, საგანთა არსების მიხედვითა რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა წახდენისა და განადგურებისაგან, იგი დღესაც იფარავს მას ყოფილ წამებისა და ტანჯვის განმეორებისაგან, მან გაუკურნა ჩვენს სამშობლოს მისი წყლული“. („ივერია“, № 230, 1899, გვ. 3; „ცნობის ფურცელი“, № 949, 1899. გვ. 2).

„**სიყვარული** ჩვენი ჩვენის სამშობლოსი თავით თვისით წარმოადგენს იმ ნაყოფიერს ნიადაგს, რაზედაც იზრდება და ჰხარობს ჩვენი ერთგულება და სიყვარული რუსეთისა. ეს ჩვენი სიყვარული ჩვენის სამშობლოსი იგი მაგარი და შეუმდგომელი ჯაჭვია, რომელიც აერთიანებს ჩვენს ზრახვასა და სასოებას უკეთესს რუსთა ზრახვასა და სასოებასთან. სწორედ ამ ჩვენის სამშობლოს სიყვარულში უნდა მოიძებნოს ნასკვი ნაწილთა დაახლოვებისა და გაერთიანებისა მთელთან საკეთილდღეოდ ყოველთა და ყოვლისათვის“. („ივერია“ № 230, 1899, გვ. 3, „ცნობის ფურცელი“, № 949, 1899, გვ. 2).

„**ქართული** დროშა ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწიკვლელად და უხირქოდ გარდაუცია; გაჭირვების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არაერთხელ გამოსულა საომრად ველზედ და მის წინამძღვარობით და სახელით ქართველობას არაერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად“ (ტ. VIII, გვ. 12).

«Вся гордость, все чувство народного достоинства грузина искали и ищут все свое содержание в мысли, что он такой же гражданин великого русского государства, как и русский“, („ლიტერატურული ურთიერთობანი“, კრ. II, თბ., 1969. გვ. 239).

(Мы уважаем. — გ. გ.) «великодушный русский народ, всегда жертвовавший бескорыстно жизнью и имуществом своих сынов ради священной идеи заступничества за единоверных ему народов с целью не уничтожения, а сохранения их“. („ლიტერატურული ურთიერთობანი“, კრ. II, თბ., 1969, გვ. 239).

«Россия слишком сильна и могущественна сама по себе, чтоб искать себе опору в сочувствии какого-то маленького народа“. („ლიტერატურული ურთიერთობანი“, კრ II. თბ., 1969, გვ. 240).

«Теми или другими мероприятиями заставлять нас чувствовать и сознавать себя в положении каких-то париев, которым остается лишь или за все благодарить или молчать, для отчуждения которых от себя созидается неравенство пред законом, неравноправность гражданская и общежитейская, все это, согласитесь сами, далеко не та почва, на которой может расти взаимная любовь. Не вдаваясь в область нравственных требований человека (...) эта последняя имеет для нас-грузин — огромное значение и в практическом смысле. Потому-то она, эта взаимная любовь, нам нужнее, чем русским ибо в ней единственный залог нашего благоденствия нашего спасения. Для великой же, необъятной России вопрос о любви к ней грузина может быть лишь предметом благородных забот нравственного порядка и не имеет никакого практического значения (...) Повторяю, для нас грузин, любовь эта связана с вопросом — быть или не быть нам“. („ლიტერატურული ურთიერთობანი“, კრ. II, თბ., 1969, გვ. 240).

«Я вполне проникнут мыслью о необходимости указывать своим соплеменникам истинный путь его нравственного, религиозного преуспеяния с русскою православною церковью и русскою культурою вообще». („ლიტერატურული ურთიერთობანი“, კრ. II. თბ., 1969, გვ. 244).

„**ისე** მკვიდრად, ისე მაგრათა ვართ ჩვენ რუსეთთან დაკავშირებული და შეერთებული, რომ ყოველს იმის სუნთქვაზედ, ყოველს იმის ცხოვრების ავსა და კარგს მოვლენაზედ ჩვენი ქვეყანაც ზანს უნდა აძლევდეს. თუ რუსეთში კარგად მიდის საქმეები, ჩვენც კარგათ ვართ; თუ იქ რომელიმე მოვლენამ შეაფერხა საზოგადო ცხოვრება, უეჭველია, ეს შეფერხება არც ჩვენ აგვცდება“. („დროება“, № 6, 1883, გვ. 1).

ჩვენ ერთი დიდი და უდიდესი მოვალეობა გვაწევს: ძმებს (რუსებს. გ. გ.) ძმურად უნდა დავხვდეთ ყველგან და ყოველისფერში; უნდა იმათთვისაც ვიზრუნოთ, — როგორც ჩვენთვის. თუ ჭირში ვუძმეთ, ჭირში მოვეშველენით, — ჩვენი ერთმანეთის დაურღვეველის კავშირის გაბმაც უეჭველია. ეს ისმინეთ და გაიგევით, ქართველობავ!“ (ტ. IV. გვ. 19).

გილოცავთ, კოლეგა!



ჟურნალისტის თავისუფლება, პასუხისმგებლობა, ბედი...

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება № 221

1993 წლის 1 ნოემბერი, ქ. თბილისი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ინფორმაციის რედაქციის რედაქტორის ვილენ მარდალეიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი ჟურნალისტური მოღვაწეობისათვის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

მოგეხსენებათ, საქართველოში პრესა ორ ნაწილად იყოფა: თავისუფალ და სახელისუფლო თვალსაზრისზე მდგომ პრესად!

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, სადაც ალბათ ჩემი ეს მცირე მისალმება დაიბეჭდება, ოფიციოზია!

სწორედ ამ გაზეთიდან დამირეკეს და მთხოვეს, მივესალმო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომელს, ჟურნალისტ ვილენ მარდალეიშვილს, რომელსაც 50 წელი შესრულებია.

ჟურნალისტები ეშმაკი ხალხია. ვინც მე ამ საკითხზე მირეკავდა, მან, ცხადია, კარგად იცოდა, რომ ამ ცოტა ხნის წინათ, როცა მე 60 წლისა გავხდი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან სწორედ ვილენ მარდალეიშვილი მომესალმა.

მაგრამ მე ამ ხერხით „გამოჭერა“ სულაც არ მჭირდებოდა, მე ისედაც სიამოვნებით მივესალმებოდი შესანიშნავ ჟურნალისტსა და მამულიშვილს, კარგ ქართველ ვაჟკაცს, ოღონდ რაკი თავად ვილენისთვის ეს „ნორჩი იუბილე“ — დაბადების 50 წელი — სულაც არ არის დიდად მნიშვნელოვანი მოვლენა, შევეცდები, რომ გამოვიყენო ეს მომენტი და ისეთ თემასა თუ პრობლემას შევეხო, რაც ჩვენ ყველას — ვილენსაც, მეც, ჟურნალისტთა მთელ საძმოსაც — ერთნაირად გვაფიქრებს და გვადარდებს!

მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა ჟურნალისტის თავისუფლებაზე!

სანამ ამას ვიზამდე, მანამდე მინდა განვაცხადო, რომ ჟურნალისტისა და, საერთოდ, გაზეთის თავისუფლების თემას ყურმოკრულად არ ვიცნობ. მუშაობა პირადად მე, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, დავიწყე არათავისუფალ გაზეთში — „კომუნისტში“ და დავასრულე თავისუფალ გაზეთში — „მამულში“!

ორი სიტყვით ბარემ ჩემი უიღბლო ჟურნალისტური დებიუტის თაობაზეც ვიტყვი.

სამსახურში — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში — „პროტექციით“ მოვეწყვე: აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა, რომელიც იმხანად ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი გახლდათ, დაურეკა ბატონ პროკოფი რატიანს — თავის თანამშრომელს, რომელიც ცეკამ „კომუნისტის“ რედაქტორად გაამწესა. ახლაც ყურში ჩამესმის დიდი მეცნიერის სიტყვები — მე ვერაფრით დაგიმტკიცებ, ტარიელ ჭანტურია ნიჭიერი კაცი რომაა, უბრალოდ, უნდა სიტყვაზე მენდო და მიიღოო!

ენდო ბატონი პროკოფი სიტყვაზე აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს.

აი, იმ გაზეთში — კომუნისტების გაზეთში — მე გახლდით თავისუფალი. მერე რა, რომ ამ თავისუფლებისთვის დავისაჯე! ეს ასე მოხდა:

ერთი წელიც არ იყო გასული, შტატების შემცირების ბრძანება მოვიდა. სწრაფად შემუშავდა შტატების შემცირების კრიტერიუმი: პირველ რიგში უნდა განთავისუფლებულიყო უპარტიო ხალხი!

ასე გამოვეთხოვე არათავისუფალ გაზეთს და დავიწყე ცხოვრება თავისუფალი პოეტისა და ჟურნალისტის ცხოვრებით.

ბოლოს იყო „მამული“ — უკვე თავისუფალი გაზეთი, მაგრამ ეს სხვა თემაა, და თუ არ გავჩერდი, თავად ვილენი დამდებს ბრალს, რომ მისი იუბილეს თემა საკუთარი მემუარით შევცვალე.

მე კი, როგორც სათაურშივე მივანიშნე, ჟურნალისტის თავისუფლებაზე მინდოდა ორიოდ სიტყვის თქმა!

დიახ, საქართველოში ახლა ბევრია როგორც თავისუფალი, ისე არათავისუფალი გაზეთი, თავისუფლება კი შეფარდებითი ცნებაა, და ვინ რა ხარისხის თავისუფლებას ფლობს, ეს გაზეთის სათაურით ვერ დადგინდება და დამტკიცდება.

თავისუფლება, როგორც ღმერთი, შენშია ან, უბრალოდ, არ არის შენში...

ავიღოთ, მაგალითად, ორი „თავისუფალი“ გაზეთი — „საქართველოს სამრეკლო“ და „იბერია სპექტრი“.

ნუთუ ამ გაზეთებში „მოღვაწე“ ჟურნალისტებს მართლა ჰგონიათ, რომ სიძულვილის, ბოროტების, უსინდისობის, ცილისწამების, შურის, ღალატის, დასმენის თავისუფლება საქართველოს წაადგება! ნუთუ იმ ნაპრალს, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ საქართველოშია გაჩენილი, გაღრმავება ესაჭიროება!

ამ გაზეთებმა — „საქართველოს სამრეკლომ“ და „იბერია-სპექტრმა“ — იდეოლოგიურად მოამზადეს სამოქალაქო ომი საქართველოში!

გამოდის რომ, ეს გაზეთები სულაც არ გახლავთ თავისუფალი გაზეთები, ისინი ანგაჟირებული გაზეთებია, და საქართველოს ორად გახლეჩის საშინელ საქმეს ემსახურებიან, ისინი სიძულვილს თესავენ, ისინი ქვეყნის გათიშვისკენ მოუწოდებენ და გათიშულთა გრძელ სიებს აქვეყნებენ — ბარიკადებს აგებენ და ბარიკადის იქით მყოფთა გვარებს სისტემატურად ბეჭდავენ გაგრძელებით...

სამოქალაქო ომის ემბრიონი, რომელიც დეკემბერ-იანვრის ავბედით დღეებში ჩაისახა, ქვეყანას ამათი ხელშეწყობითაც მოევლინა...

მათ, გათიშულთა სიებს რომ ბეჭდავდნენ გაგრძელებებით, ტერმინატორის ხაზი გაავლეს საქართველოში და ორად გათიშეს ქვეყანა — ის, ვინც სიაშია, აქეთაა, ის, ვინც სიაში არაა — იქით! აქეთ — ჩვენები არიან, იქით — ისინი! აქეთ — თეთრებია, იქით — წითლები! აქეთ — დღეა, იქით — ღამე...

ასე მარტივად მომზადდა სამოქალაქო ომი იდეოლოგიურად, ასე დაითესა სიძულვილის ყვავილი, რომელმაც სისხლიანი ნაყოფი მოისხა...

ვის მოვკითხოთ ახლა ეს ყველაფერი! — თვრამეტი წლის უბირ ყმაწვილს, ხელში ავტომატი რომ შეაჩეჩეს? სინამდვილეში ეს ცოდვა მხრებზე სწორედ იმ ვაიპოლიტიკოსებსა და ვაიჟურნალისტებს აწევთ, მთელი თავიანთი ბნელი ენერგია ქვეყანაში არსებული ნაპრალის გაღრმავებას რომ მოანდომეს!

ვილენ მარდალეიშვილის — ქართველი კაცისა და ქართველი ჟურნალისტის სინდისი სუფთაა, და ეს იმაზე მეტია, ვინემ ამ ტრაგედიამდე გვეგონა...

დღეს, როცა საქართველოში ზღვა დადგა სისხლის, მეოთხე ხელისუფლების უკეთური წარმომადგენლები, ცხადია, საპირისპიროს მტკიცებას მოჰყვებიან, მაგრამ მათი ზნეობრივი ფიასკო ქართველ ჟურნალისტთა არმიას უნდა მწარე გაკვეთილად გამოადგეს! — შესაძლოა, მუშაობდე თავისუფალ გაზეთში და იყო მონა — იდეისა თუ პიროვნების მონა, და შესაძლოა პირიქითაც იყოს — მუშაობდე ოფიციოზში და პატიოსნად იდგე შენსაზე, იცავდე წმიდათაწმიდას, ღირსეულად ემსახურებოდე შენს ქვეყანასა და ხალხს! უნდა კმაყოფილებით გავიმეორო, რომ ვილენ მარდალეიშვილი, ოფიციოზის თანამშრომელი, თავისი უბრალო, კეთილი, ნათელი, ხალხისთვის გასაგები პატიოსანი სიტყვით მუდამ თესავდა და თესავს სიკეთეს, გვამცნობს გასახარელს, მოგვიწოდებს შეერთებისკენ!

მე მივესალმები მას ამიტომაც, და ვუსურვებ დღეგრძელობას ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ!

კოშმარი, რომელიც საქართველოშია გამეფებული და რამაც ლამის სიცოცხლე შეგვაზიზღოა, ღვთით, ალბათ მალე დასრულდება, მაგრამ არანაკლებ ძნელი იქნება შერიგება! და ვინ, თუ არა ჩვენმა საინფორმაციო საშუალებებმა, ჩვენმა კულტურამ უნდა შეარიგონ დღეს გათიშული ძმები! მხოლოდ მონანიება, მხოლოდ პატიება, მხოლოდ სიკეთე, მხოლოდ სიყვარული! უნდა წერტილი დაესვას ყველაფერს — რევანშისტების თარეშს, პოლიტიკანთა პროვოკაციებს, ქართველი ხალხი უნდა გაერთიანდეს, და ამ საქმეში შურისძიება გზისმკვლელად ვერ გამოდგება!

ვილენ მარდალეიშვილმა იცის — „სიყვარულის“ წიგნი“ — სატრფიალო ლირიკის ანთოლოგია, რომელიც თავის დროზე მე, გივი გეგეჭკორმა და იმზარ კვიტაიშვილმა შევადგინეთ, ამაოდ ელის გამომცემელს აგერ უკვე სამი წელია! — ჩანს, დღეს აღარავის სჭირდება „სიყვარულის წიგნი!“

იმედი მაქვს, მალე მოეღება ბოლო სიძულვილის ბოროტ ზეიმს და მსოფლიო ნახავს, თუ როგორ შეუძლია სიყვარული ქართველ კაცს!

დარწმუნებული ვარ, ამ საქმეში — სიკეთისა და სიყვარულის თესვის საქმეში — ბოლო სულაც არ იქნება ქართული სიტყვის თავმდაბალი მსახური, ჟურნალისტთა არმიის ერთგული ჯარისკაცი, ჩვენი მეგობარი ვილენ მარდალეიშვილი!

ტარიელ ჭანტურია.

მამულს მიხედოთ, მამულს!

მთავარი მაინც საქმეა!

გიორგი იოსების ძე ამირანაშვილი დაიბადა 1947 წელს. თერჯოლელია. 1961 წლიდან ქუთაისშია, ამავე წლიდან დაიწყო შრომითი საქმიანობაც. დაამთავრა ჯერ ავტოტექნიკური ტექნიკუმი, შემდეგ კი წარჩინებით — პოლიტექნიკური ინსტიტუტი, გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური.

სხვადასხვა დროს მუშაობდა კომკავშირულ და პარტიულ ორგანოებში, ბოლო ექვსი წელი კი რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანაში მთავარ მექანიკოსად. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი. 1993 წლის 24 თებერვალს დაინიშნა თერჯოლის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის საუბარს გიორგი ამირანაშვილთან.

— ბატონო გიორგი, თქვენ მეტად რთულ ვითარებაში მოგიწიათ ამ თანამდებობაზე მოსვლა. რით დაიწყეთ?

— მოგახსენებთ. უწინარესად რაიონის მშრომელებთან, ახალგაზრდებთან, ომისა და შრომის ვეტერანებთან შეხვედრებით. მოვინახულე სამაჩაბლოსა და აფხაზეთში დაღუპულ თანამემამულეთა ოჯახები, ვეწვიე საავადმყოფოებს, სკოლებს, ბაგა-ბაღებს, საწარმო-დაწესებულებებს.

უკვე მზადაა რაიონის განვითარების სამწლიანი გეგმა, რომელსაც მალე განიხილავს მინისტრთა კაბინეტი.

— ამ მოკლე ხანში თქვენი აპარატით რისი გაკეთება შესძელით, რა სიძნელეები და ბარიერები გადალახეთ?

— ძალზე მძიმე ზამთარი გადავიტანეთ, მობილიზაცია გავუკეთეთ ტექნიკას, ტრანსპორტს. ერთი სიტყვით, მცირე დანაკარგებით დავძლიეთ დიდთოვლობა.

შემდეგ ხვნა-თესვის კამპანიასთან, მიწის პრივატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემებიც გადავჭერით. ახლა რთველი დგება და ვფიქრობთ თერჯოლელები შარშანდელთან შედარებით საკმაოდ მეტ მოსავალს მივიღებთ. პარალელურად, ვფიქრობთ მრეწველობის ამოქმედებაზე, დაუმთავრებელი მშენებლობების გაგრძელებასა და დამთავრებაზე.

ვაშენებთ ახალ ელექტროქვესადგურს, ვზრუნავთ კულტურის ფონდის გადარჩენისთვის, გავატარეთ შეღავათები გადასახადებში, შევქმენით გამგეობის ფონდი, სადაც თავი მოვუყარეთ სხვადასხვა სახსრებს. სწორედ ამ ფონდიდან დავეხმარეთ ათასზე მეტ ხელმოკლე ოჯახს, 240 მრავალშვილიან დედას, ომისა და შრომის ვეტერანებს, მარტოხელებს. რაიონში ჩამოყალიბდა „კათარზისის“ ფილიალი, რომლის თანამშრომლები სახლში აკითხავენ დავრდომილებს. რაიონის სპორტის ისტორიაში, მოხდა სასიხარულო მოვლენა, თერჯოლის საფეხბურთო კლუბი „საპოვნელა“ უმაღლეს ლიგაში გადავიდა. ვმასპინძლობთ 1000-ზე მეტ ლტოლვილს. სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მებრძოლთათვის გავაგზავნეთ ათობით ტონა სურსათ-სანოვაგე, თავდაცვის ფონდში რაიონის მშრომელებმა 3 მილიონ მანეთზე მეტი შეიტანეს. მიდის მუშაობა შინაგანი ჯარის ოცეულის შექმნისა და მისი აღჭურვილობის შეძენისათვის.

— რადგან სიტყვამ მოიტანა, იქნებ გვითხრათ, რა სტადიაშია მიწის და სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია, როგორია ამ პროცესის ტემპი?

— ძალზე მტკივნეულად ჩაიარა მიწის პრივატიზაციამ. იყო ექსცესები, გაურკვევლობა, ძალადობა, მიკერძოების და ნათლიმამობის შემთხვევებიც, დარღვევებს ერთიანი ძალისხმევით ვასწორებთ, ვცდილობთ მშრომელ კაცს გული არ ვატკინოთ. მიწის რეფორმამ დიდი თუ პატარა, ქალაქელი თუ სოფლელი მიწისაკენ მოაქცია. ასეთი დამუშავებული ყანები თერჯოლელებს არასოდეს ჰქონიათ.

რაც შეეხება მეცხოველეობის ფერმებს, ისინი მთლიანად დაიშალა, გავერანდა საკოლმეურნეო ქონება, დაზიანდა თუთისა და ხეხილის პლანტაციები.

ძნელია დღეს ვინმეს მოვთხოვოთ პასუხი იმისათვის, რომ კაპიკებად გაიყიდა რაიონში 1600 სული პირუტყვი და 500 ღორი, გასარკვევია 35 საკოლმეურნეო ფერმის გაყიდვის კანონშესაბამისობის საკითხი. ფაქტია, რომ ფერმები საბოლოოდ განადგურდა ზამთრისა და უპატრონობის პირობებში.

საერთოდ, მიწის რეფორმა ძალზე რთული პროცესი აღმოჩნდა. ნუ მიწყენს პარლამენტის ამ დარგის კომისია, მიწის კადასტრის სახელმწიფო კომიტეტი, თუ ვიტყვი, რომ ამ ისტორიული მოვლენისათვის ჩვენ მზად არ აღმოვჩნდით, დადგენილებათა ცვლამ, ინსტრუქციების ნაკლებობამ, ადგილობრივ კომისიათა მოუმზადებლობამ მრავალი უხერხულობა შეგვიქმნა. მიუხედავად ამისა, ეს პროცესი დასასრულს უახლოვდება ჩვენს რაიონში.

რაც შეეხება სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას, იგი ძალზე ნელი ტემპით ხორციელდება. ეს კი დიდ დაბრკოლებებს შეუქმნის ქვეყანას, ხალხს.

სწორად არ მიმაჩნია, რომ ყველაფერი ხელაღებით, ზოგჯერ შემთხვევით პიროვნებებზე გაიყიდოს. ამასთან არის ფაქტები, რომ საპრივატიზაციო სიებში ჩვენთან შეუთანხმებლად შეაქვთ დაწესებულებები, ფაბრიკები და ქარხნები. ასე მოიქცა სოფლის მეურნეობის სამინისტრო, როცა საპრივატიზაციო სიაში უჩვენოდ შეიტანა სიმონეთის ღვინის ქარხანა.

ჩვენ ვითხოვთ, რომ ნაჩქარევად მომზადებული საპრივატიზაციო ობიექტების სიები გასწორდეს. სახელმწიფო ქონების მართვის და პრივატიზაციის სამინისტროს ვთხოვთ სიიდან ამოიღოს ჩოლაბურის სილის კარიერი, სიმონეთის ღვინის ქარხანა, და რაისამრეწველო კომბინატი და გადასცეს ისინი გამგეობას. ჩვენ უკანონოდ არაფერს მოვითხოვთ, ამიტომ მხარი უნდა დაგვიჭირონ.

— რამდენიმე სიტყვით იქნებ მინისტრთა კაბინეტის შესახებ გვითხრათ, როგორია ურთიერთთანამშრომლობის ატმოსფერო, დახმარების და თანადგომის საკითხი?

— დიდი ხანი არ არის, რაც მინისტრთა კაბინეტი განახლებული შემადგენლობით შეუდგა მუშაობას. ამ ცვლილებათა შემდგომ პერიოდში სულ ომში ვართ ჩაბმული და ასეთ დროს ძნელია მუშაობის ახალ ფორმებზე, ახლებურად მართვასა და ხელმძღვანელობაზე იფიქროს კაბინეტმა, ამიტომ არის ალბათ, რომ ადგილზე ჯერჯერობით ვერ ვგრძნობთ მინისტრთა კაბინეტის მუშაობის სტილში რაიმე სერიოზულ გარდატეხას.

მიმაჩნია, რომ ახლა, როცა მოშლილია ცენტრალიზებული მომარაგების სტრუქტურები, მინისტრთა კაბინეტმა თვითმმართველობის ორგანოებს უნდა მოგვცეს მეტი უფლებები ბარტერისა თუ სხვა ოპერაციების ჩატარების მიზნით ჩვენს ხელთ არსებული ნედლეულისა და პროდუქტების განკარგვის მხრივ, რათა მოსახლეობა უკეთ მოვამარაგოთ სურსათით და სხვა პირველი მოხმარების საგნებით. შევძლოთ ავამუშაოთ საწარმოები, ვაწარმოოთ მშენებლობა, მიზნობრივად გამოვიყენოთ თერჯოლის მდიდარი ბუნებრივი რესურსები.

კარგი იქნება, თუ რაიონის გამგებლები სამ თვეში ერთხელ მაინც შევიკრიბებით პრემიერთან საერთო ხაზის შემუშავების მიზნით. საერთოდ ალბათ რეგლამენტირებული უნდა გახდეს პრემიერთან და ვიცე პრემიერთან გამგებელთა შეხვედრები.

— გვაინტერესებს თქვენი აზრი მოქმედ საგადასახადო სისტემაზე, რას გვეტყვით ადგილობრივ ბიუჯეტზე?

— ავიღოთ თუნდაც ორი დეტალი. პირველი — ისეთი გადასახადი, როგორიცაა აქციზი, მთლიანად რესპუბლიკურ ბიუჯეტში მიაქვთ. ეს მაჩვენებელი ადგილობრივი ბიუჯეტის 65 პროცენტს შეადგენს. მეორე — მინისტრთა კაბინეტს რაიონის ჩაის მოსავლის 75 პროცენტი მიაქვს, 15 პროცენტი საწარმოს ესაჭიროება, მხოლოდ 10 პროცენტი რჩება გამგეობის უფლებებში, რაც ძალზე მცირეა. მაგალითად, ამას წინათ 40 ტონა უმაღლესი ხარისხის ჩაი გადავუტვირთეთ ალმათას, რა მიიღო რესპუბლიკამ აქედან, ჩვენთვის უცნობია. ასეა შამპანურზეც. თუ ეს ასე გაგრძელდა, ჩვენი მოსახლეობის პროდუქტებით და პირველი მოხმარების საგნებით უზრუნველყოფაც მათ უნდა იკისრონ. მე მგონი, სრული დამოუკიდებლობა უნდა მიეცეს რაიონს, ამ შემთხვევაში პასუხსაც ვაგებთ ჩვენი ხალხის წინაშე.

ასეთი სისტემის პირობებში კერძო მეწარმეობა, მცირე საწარმოები, ბიზნესი და კომერცია ვერ განვითარდება. მეტსაც გეტყვით, იმ პირებმა, ვინც ხალისით მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, შექმნეს უნიკალური მცირე საწარმოები და პირველი პროდუქციაც გამოუშვეს. გადასახადების ასეთი სისტემის გამო გააჩერეს მუშაობა, შეწყვიტეს პროდუქციის წარმოება, ამის უამრავი მაგალითი გვაქვს.

— გყავთ თუ არა რაიონში შეიარაღებული ფორმირებები, როგორია ადმინისტრაციული ორგანოების ბრძოლისუნარიანობა?

— რაიონის ტერიტორიაზე განთავისუფლებული იყო ოფიციალური სწრაფი რეაგირების ბატალიონი გარკვეული ტექნიკით და შეიარაღებით. აქ კარგი მებრძოლები იყვნენ. ყველა მათგანს აქვს მიღებული მონაწილეობა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ბრძოლებში, სადაც ბევრი მათგანი დაგვეღუპა. ახლა კი ბატალიონი შეუერთდა ზესტაფონის ბატალიონს. მებრძოლები ცუდ პირობებში არიან — არა აქვთ ხელფასი, სურსათი და სხვა საარსებო საშუალებები. იქნებ, თავდაცვის სამინისტრო ჩვეული პრინციპულობით მიუდგეს ამ საკითხის მოგვარებას, რომ დროზე მოხდეს ზესტაფონში მათი მთლიანი დისლოკაცია. როგორც უკვე ვთქვით, რესპუბლიკის შინაგანი ჯარის ხელმძღვანელობასთან გვქონდა საუბარი თერჯოლაში ერთი ოცეულის ჩამოყალიბებაზე.

რაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოების ბრძოლისუნარიანობას, ასეთი მებრძოლი ადმინისტრაციული ორგანოები კარგა ხანია თერჯოლას არ ჰყოლია. ამის შედეგია ის, რომ 103 დანაშაულიდან გახსნილია 77, დაპატიმრებულია ყაჩაღთა 34 ჯგუფი. თუმცა სამუშაო აქაც ბევრი გვაქვს.

— როგორ დამოკიდებულებაში ხართ პარლამენტის წევრებთან, ზედმეტად ხომ არ ერევიან ისინი თქვენს ფუნქციებში?

— თავმჯდომარის პოსტზე ჩემი დამტკიცებისას ედუარდ შევარდნაძემ პირდაპირ მითხრა, თერჯოლელებს კარგი დეპუტატები გყავთო. ეჭვი არასოდეს შემიტანია ამ აზრის ჭეშმარიტებაში.

არაერთგზის დავრწმუნდი ამირან ქაშაკაშვილისა და ვანო ხუხუნაიშვილის თანადგომაში. ჩვენი ურთიერთობა სამაგალითო და მისაბაძია. მე მეგობრული მადლობა მინდა ვუთხრა მათ.

— როგორ მიმდინარეობს მზადება რაიონში ზამთრის სეზონისთვის?

— გლეხკაცს განსაკუთრებით ზამთარში უჭირს. რა უნდა ქნას თუ არ ექნება ელექტროენერგია, გაზი, ნავთი, საწვავი, ადგება და ისევ მიადგება ტყეს. აქ რაღაც, თითქოს დავარეგულირეთ, დავაკანონეთ, მაგრამ მაინც იჩეხება ტყე.

გვიჭირს სკოლებში. თითქმის ყველგან დაზიანებულია სახურავები, არ არის შიფერი, მინა. ბევრი შენობა ინგრევა, ჩხარში საერთოდ, არ გვაქვს საშუალო სკოლა, ვინ არ ჩამოვიყვანეთ, ვინ არ შევაწუხეთ, მაგრამ ჩხარელებისთვის სკოლის მშენებლობის საკითხი არ გადაწყდა.

წუწუნი საერთოდ არ მჩვევია, მაგრამ გვიჭირს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში დღესდღეობით არ გაგვაჩნია რეალური უფლებები. მომიტევოს ყველა სამინისტრომ, თვით მინისტრთა კაბინეტმა, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ სადავეების ხელიდან გაშვებას არავის ვთხოვთ, მათ მიშვებაზეა მხოლოდ საუბარი. ამას კი ერთად დასხდომა, განხილვა და გადაწყვეტა უნდა. ასე მგონია, გამგეობები ცოტა მიტოვებულებს დავემსგავსეთ, დროებითი დებულება კი საქმეს ვერ შველის.

— დღეს, ყველა, სნგ-ზე ლაპარაკობს. ჩვენს მკითხველს თქვენი აზრიც დაინტერესებს.

— თერჯოლელთა აბსოლუტური უმრავლესობა (95%) მხარს უჭერს დიდ, ძლიერ, მდიდარ ქვეყნებთან ურთიერთმეგობრობას. თერჯოლელებს კარგად ესმის, რომ ამ მეგობრობაში მარტო რუსეთი არ იგულისხმება, აქ ხომ უზარმაზარი პოტენციალის მქონე ქვეყნებია გაერთიანებული.

• • •

დავემშვიდობეთ ოპტიმიზმით აღვსილ რაიონის ხელმძღვანელს, რომელსაც სჯერა თავისი რაიონის, მთელი საქართველოს ბედნიერი მომავლის, და აქვს კონკრეტული გეგმები და მიზანდასახულებანი მათ განსახორციელებლად. თერჯოლელებსაც სჯერათ თავიანთი თავკაცის.

ესაუბრა
ჰენრი შარიქაძე.

გახსენება

სინდისის გენერალი

7 ნოემბერს სიონის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ პარაკლისი გადაიხადა მეორე საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზებული ბრიგადის მეთაურის, სექტემბრის ბოლო დღეებში სოხუმისთვის ბრძოლაში მოწამეობრივად დაღუპული გმირი მამულიშვილის, გენერალ-მაიორ გენო ადამიას სულის მოსახსენებლად.

პანაშვიდს მრავალრიცხოვანი საზოგადოება დაესწრო.

ხდება ხოლმე: შეხვედრის უმალ დაგატყვევებს კაცი თავისი კაცობით და სამუდამოდ მის მეგობრად რჩები. ასე დამატყვევა გენერალმა გენო ადამიამ.

წლეულს მაისის დასაწყისში ვნახე პირველად. ჟურნალისტებზე განაწყენებული დამხვდა. წინა დღეებში ერთ-ერთ გაზეთს მისი ნაამბობი ისე შეესხვაფერებინა, რომ, ცოტა არ იყოს, მისთვის უკადრისი რამ გამოსულიყო. მაგრამ ყინული მალე გალღვა. დასაწყისში დათქმულ 30 წუთს ერთი საათი ისე დავუმატეთ, ვერც კი შევატყვეთ.

წერილის ის ქვეთავი, რომელიც მაშინ მას მივუძღვენი, ასე დავასათაურე — „გენერალი გენო ბიძია“. შემთხვევით არ მომხდარა ეს. საუბრისას კაბინეტში სამხედროფორმიანი, აქლოშინებული, [illegible] შემოეყუდა: — დაგიბარებივარ, გენო ბიძია! — მერე შეცბა და გაიჭიმა, — ბატონო გენერალო, თქვენი ბრძანებით გამოვცხადდი...

— თანდათან ვსწავლობთ ომსაც და სამხედრო ცხოვრებასაც, — ჩაიცინა, როცა ახალგამოცხვარი უფროსი ლეიტენანტი გაისტუმრა...

გენო ბიძია! ასე უწოდებდნენ ოფიცრებიც და ჯარისკაცებიც.

ის ბიჭები სულ სათითაოდ ჰყავდა შერჩეულ-შეკრებილი.

მეორე საარმიო კორპუსის სოხუმის დამცველი 23-ე მექანიზებული ბრიგადა, ფაქტობრივად, მისი შექმნილი იყო. ომის პირველი დღეებიდანვე თოფქვეშ დააყენა 150 საგანგებოდ შერჩეული ვაჟკაცი. ეს ის ყმაწვილები იყვნენ, რომლებიც ჯერ კიდევ 1989 წლის ივლისის დღეებში დარაზმა ქართველობის დასაცავად ღალატითა და ჯანდგომით აღვრილ აფხაზეთში. ისინი რომ არა, მაშინ, ალბათ, ათჯერ მეტი სისხლი დაიღვრებოდა. ამ რაზმმა თანდათან იმატა და საბოლოოდ მძლავრ, სისხლსავსე შენაერთად იქცა. 1992 წლის ნოემბრის ბოლოდან გენო ადამია ამ ბრიგადის მეთაური იყო. წლეულს 6 მარტს გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა.

ის და სოხუმი წარმოუდგენელი იყვნენ ურთმანეთოდ. ახლა აღარც ერთია და აღარც — მეორე. აღარ არის ყველასთვის ახლობელი და საყვარელი ქალაქი, მის ნაცვლად, დღესდღეობით, არის გადამთიელის ხელში ჩავარდნილი, დანგრეული და გაუცხოებული „სუხუმ“. აღარ არის გენო ადამიაც. იგი ამ ქალაქის „კაპიტანი“ იყო და როგორც კაპიტანს შეჰფერის, უკანასკნელმა დატოვა ალმოდებული გემბანი; მერე კი მის კარიბჭესთან დახდო თავი.

შფოთიანი ახალგაზრდობა ჰქონდა. კედლის განმგრევი მუშტით, უკომპრომისო სამართლიანობით; ყველა ჯურის ადამიანთან საერთო ენის გამონახვის ნიჭით ყმაწვილობიდან დაიმკვიდრა ნაღდი კაცის სახელი. რაიმე [illegible] თანამდებობაც არ ჰქონია, მაგრამ „[illegible]“ სოხუმში, ის [illegible]. [illegible] ჟღლდა [illegible], დარაზმვის [illegible], მაგრამ როდესაც აფხაზეთს ომი მოადგა, ეს უნარი დიდ ორგანიზატორულ ძალისხმევად იქცა (თუმცა ამ 57 წლის, გარეგნულად ჯან-ღონით სავსე კაცს, ორიოდ წლის წინათ გულის უმძიმესი ოპერაცია რომ გადაიტანა, დროდადრო წვეთოვანას მიშველება სჭირდებოდა ხოლმე).

57 წელიწადი კაცურად იცხოვრა.

არც ერთ პარტიას არ მიმხრობია. სამეგრელოში არეულობა რომ დაიწყო, ფეხი არ ჩაუდგამს იქ. რატომ?

— რას გვარგებს ერთმანეთში დარევა, მეორეც, ქართველი ქართველზე ხელს რომ აღმართავს, ამაზე დიდი ცოდვა არ არსებობს. შევარდნაძეს უწყრება ზოგი. მისი შემცვლელი კი მოიძებნება, მაგრამ წაადგება ეს საქმეს და ქვეყანას? ასწევს ის ახალი კაცი ედუარდის საწევს? ვერ ასწევს და ჭკუით იყოს ყველა, ნუ გავაცინებთ მტრებსო, — მითხრა.

მისი ნაამბობით კიდევ ეს დამამახსოვრდა განსაკუთრებით:

— ბატონო ედუარდ, ვკითხე ერთხელ სოხუმში ჩამოსულს, კიდევ რამდენი წელი აპირებთ მეთქი სიცოცხლეს — ხუთი, ათი, თხუთმეტი?... რაგინდ ოპტიმისტები ვიყოთ, მე და თქვენ ამაზე მეტი არ გამოგვევა, მოდა, რა [illegible]?! მოდი, დავუთქვათ, ეს დარჩენილი, თითებზე ჩამოსათვლელი წლები მთლიანად საქართველოსთვის გადავდოთ-მეთქი. გაიცინა, ასე იყოსო. ასე რომ, რაც დამრჩა მხოლოდ საქართველოს ეკუთვნისო!...

მეორედ ივლისში შევხვდი. ცოტა გატეხილი მეჩვენა, დაღლილი. იქნებ თვალი მატყუებდა, — გაუპარსავი იყო და თეთრი წვერი წლებს მატებდა.

მისმა პირველმა მოადგილემ, ვიცე-პოლკოვნიკმა სპარტაკ მარხულიამ მაშინ მოსწრებულად მითხრა, გენო ადამია არ არის „ნამდვილი გენერალი“, იგი სინდისის გენერალიაო.

ერთი რამეც მიამბო: სოფელ შრომასთან შეტევისას მებრძოლები შედრკნენ, წინ წასვლა საშიშიაო. გენერალმა ადამიამ მარტო გააგრძელა გზა და ბიჭებს გადასძახა: — თუ მომკლეს, ალბათ, ისინდისებთ და გამომიტანთ, თუ ცოცხალი დავბრუნდი, თვითონ გიამბობთ, საშიში იყო თუ არა! მებრძოლებმა სირბილით გადაუსწრეს...

გამარჯვების იმედი რომ არ მქონდეს, თავს არც ვიცოცხლებდი, — მითხრა თავისი ჩახლეჩილი, გამორჩეული ხმით, — სოხუმში მტერი მხოლოდ ჩვენს გვამებზე გადავლით შემოვაო.

მართლაც ასე მოხდა — სოხუმის მისადგომებთან დაეცა თავის ბიჭებთან ერთად.

მისნაირ კაცებზე იქმნება ლეგენდები...

მისნაირ გმირებზე ითხზება ლექსები...

მისნაირ რაინდები რჩება ერს საამაყოდ...

ღმერთმა შენ სულს უცხონოს, სინდისის გენერალო!

ალეკო ასლანიშვილი.

ინფორმაცია

„იბერიის“ ლენტიდან

თბილისი. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ზ. გამსახურდიასადმი დაქვემდებარებული შეიარაღებული ფორმირებების ხელმძღვანელმა ვ. ქობალიამ განაცხადა, რომ ისინი ეწევიან წმიდათაწმიდა ომს შევარდნაძის ხუნტის წინააღმდეგ, ამიტომ ამ ომში დასაშვებია მათ მხარეზე არა მარტო ჩეჩენთა, არამედ სხვა ჩრდილოკავკასიელთა მონაწილეობაც. ეს ინფორმაცია გაავრცელა რადიოსადგურმა „თავისუფლებამ“.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების სამმართველოს პრეს-ცენტრიდან გვაცნობებს, რომ აღინიშნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მორიგი ხელყოფა:

„საქინფორმის არხებით გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ აფხაზეთმა შექმნა საკუთარი სასაზღვრო რაზმი, რომლის მიზანია აფხაზეთის საზღვრების დაცვა მდ. ფსოუსა და მდ. ენგურის მიმდებარე ტერიტორიის ფარგლებში, სადაც განლაგდება 2 საკონტროლო პუნქტი და 8 სასაზღვრო პოსტი.

საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების პრესცენტრი აცხადებს, რომ აფხაზთა მხრიდან ამგვარი აქცია არასამართლებრივია. საქართველო წარმოადგენს ერთიან სახელმწიფოს, რომელიც არსებული საზღვრებით, აფხაზეთის ჩათვლით, აღიარებულია მსოფლიო თანამეგობრობის მიერ. რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული შინაგანი საზღვრები დაცვას არ ექვემდებარება. საქართველო იმყოფება მხოლოდ საკუთარი სასაზღვრო ჯარების კომპეტენციის ქვეშ“.

თბილისი. ჩვენი კორესპონდენტის ცნობით, კრასნოდარის მხარის ადმინისტრაციისა და ყუბანის გუბერნატორის ბრძანებულების თანახმად, 1 ნოემბრიდან რუსეთ-საქართველოს საზღვარზე — მდ. ფსოუს გასწვრივ, შემოღებულია სრული სასაზღვრო რეჟიმი: ტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდულია; მოქალაქეთა გადაადგილება ხდება მხოლოდ შესაბამისი საბუთების წარდგენისა და შემოწმების შემდეგ. ეს გადაწყვეტილება მიღებულია რუსეთის მთავრობის შესაბამისი დადგენილების თანახმად.

გუდაუთის დაჯგუფების ხელმძღვანელობამ არაერთხელ მიმართა რუსეთის მთავრობას, კრასნოდარის მხარის ადმინისტრაციას ამ რეჟიმის გაუქმების მოთხოვნით, მაგრამ უშედეგოდ. მეთვალყურეთა აზრით, რუსეთის ხელისუფალთა ასეთი პოზიცია განპირობებულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესებით და საქართველოს გაწევრიანებით თანამეგობრობაში. აგრეთვე იმით, რომ აფხაზეთის ტერიტორია შეიძლება იქცეს პლაცდარმად ანტისამთავრობო აჯანყებისათვის თვით რუსეთის ტერიტორიაზე — ჩრდილოეთ კავკასიაში.

გორი. საქართველოში იმყოფებიან ევროთათბირის წარმომადგენლები. მისიის ხელმძღვანელი ალექსანდრე ცვეტკოვი და რობერტ სორენსონი (აშშ) გორში შეხვდნენ ცხინვალელ ლტოლვილებს. ტურბაზაში გაეცნენ მათი ცხოვრების პირობებს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საჭიროა დაისახოს ღონისძიებები, რათა ცხინვალიდან გამოყვანილი იქნან ის ოსები, რომლებმაც დატოვეს თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი სახლები გორის, ბორჯომის, ქარელის რაიონების სოფლებში. აგრეთვე უნდა შეიქმნას იმის პირობები, რომ ცხინვალში დაბრუნდნენ ის ქართველები, რომლებიც ლტოლვილებად იმყოფებიან თბილისში, გორში, ხაშურში და სხვა რაიონებში.

შეხვედრა უმუშევრებთან

9 ნოემბერს 11 საათზე თბილისში, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შენობაში გაიმართება უმუშევართა დიალოგი სახელმწიფო სტრუქტურათა ხელმძღვანელებთან. სჯა-ბაასის მთავარი საგანი იქნება მოქალაქეთა სოციალური დაცვის სტრატეგიის ერთობლივი შემუშავება: შრომითი მოწყობა, მცირე ბიზნესი, პრივატიზაცია, ფულადი ანაბრების ინდექსაცია და სხვები. შეხვედრაზე მიწვეულია ყველა დაინტერესებული პირი.

თეატრი

„ვიმედოვნებთ, რომ ვიცოცხლებთ“!..

სამოცდახუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კოტე მარჯანიშვილმა ქუთაისში ახალი თეატრი დააარსა. ერნსტ ტოლერის პიესით „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ საფუძველი ჩაეყარა საქართველოს მეორე სახელმწიფო თეატრს — შემდგომში მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სახელი რომ ეწოდა.

დემოკრატიულობითა და ცხოვრების შუაგულში დგომით ამ თეატრმა იმთავითვე დაიმსახურა ხალხის სიყვარული და ამავ სიყვარულით არის ძლიერი იგი დღესაც...

სამოცდამეხუთე სეზონი თეატრმა დავით გაჩეჩილაძის „ხანტრიონის“ პრემიერით დაიწყო (ამ სპექტაკლის პირველი სამი წარმოდგენა შარშანდელი სეზონის მიწურულს შესთავაზეს მაყურებელს). თემურ ჩხეიძის მიერ დადგმული სპექტაკლი თავისი არსით და სულისკვეთებით ზედმიწევნით ესადაგება ჩვენს დღეებს, იმას, რისი უშუალო მოწმენიც და მონაწილენიც ვართ.

— მაყურებელმა დიდი ინტერესი გამოიჩინა ამ სპექტაკლის მიმართ, ორივე წარმოდგენაზე დარბაზი ხალხით იყო გადაჭედილი— თქვა ჩვენთან საუბრისას თეატრის დირექტორმა და სარეჟისორო კოლეგიის თავმჯდომარემ ბატონმა **გაიოზ კანდელაკმა**, მანვე განაგრძო:

— საგანგებოდ, ჩვენი თეატრის სამოცდამეხუთე წლისთავისათვის მაყურებელს ვუჩვენეთ აღდგენილი მარჯანიშვილისეული „ურიელ აკოსტა“, რომელიც აღადგინა ქალბატონმა სოფიკო ჭიაურელმა. მთავარ როლებს ასრულებენ ზურაბ სტურუა, ნინო დუმბაძე, ელენე ყიფშიძე, ედიშერ მაღალაშვილი (მოწვევით).

თეატრში ამჟამად ორ სპექტაკლზე მიმდინარეობს მუშაობა. კოტე მახარაძე ამზადებს დავით ერისთავის „სამშობლოს“, პოლიკარპე კაკაბაძის 100 წლისთავის აღსანიშნავად რეჟისორი მედეა კუჭუხიძე დგამს „ლისაბონის ტუსაღებს“.

თეატრი ასევე აპირებს „ფიროსმანის“ აღდგენას, რეჟისორები გიორგი თოდაძე და დავით ანდღულაძე მიმდინარე სეზონში იმუშავებენ ახალ დადგმებზე.

წლეულს თეატრში მივიღეთ 12 ახალგაზრდა ქალ-ვაჟი, ვინც ბოლო ორ წელიწადში დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი, ისინი ჯერჯერობით შტატგარეშედ იმუშავებენ და ხელფასს გამოსვლებში მიიღებენ.

თეატრს სადადგმო ხარჯები ძველადაც გაჭირვებით ყოფნიდა და თქვენ წარმოიდგინეთ ახლა რა დღეში ვართ, როცა ერთი აფიშის მხოლოდ დაბეჭდვა 35000 კუპონი ჯდება. უფრო გაგვიჭირდებოდა, რომ არ გამოგვეჩენოდა ისეთი სპონსორი, როგორიცაა „თბილთამბაქო“ (გენერალური დირექტორი ელგუჯა ბუბუტეიშვილი), ასევე წითელი ჯვრის ასოციაცია — ფირმა „მოწამეთა“ (გია ხურციძე) და ახალგაზრდული ცენტრი (დირექტორი აკაკი გამყრელიძე).

სამომავლოდ მთლად სპონსორების ხარჯზე ცხოვრება არ გამოდის, ძალიან ბევრ უხერხულობას ქმნის, ამიტომ რესპუბლიკის მთავრობამ უნდა მოგვცეს იმის შესაძლებლობა, რომ ოფიციალურად ვისესხოთ სახელმწიფოსაგან გარკვეული თანხა, რომლითაც ჩვენს თავსაც შევინახავთ და გარკვეული დროის შემდეგ ვალსაც გავისტუმრებთ. სხვაგვარად ჩიხში ვართ მოქცეული — თეატრისათვის განკუთვნილი დოტაცია მხოლოდ ორი თვის ხელფასს თუ გასწვდება. ასე რომ, ალბათ, მალე მოგვიწევს ამის თაობაზე ვიზიტი ბატონ ოთარ ფაცაციასთან. ვიმედოვნებთ, რომ არ გაწირავენ თეატრს.

ესაუბრა
გიორგი ლალიაშვილი.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან — „ხანტრიონი“.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

გმირები

ლამაზი სიცოცხლე

დათო ბოლქვაძე — ლამაზი, კეთილი, ნიჭიერი ქართველი, 24 წლის. უკვე მერამდენედ

ვგლოვობთ ქართველის ხელით უღმერთოდ გაწირულ „კარგ ყმას“. ნუთუ ბოლო არ მოეღება უმოწყალო ხოცვა-ჟლეტას, რომელიც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გაჩაღდა?

დათო, ჩვენო მამაცო და ლამაზო ბიჭო, რა გითხრათ... გვტკივა უშენობა, გვინდა მოვეფეროთ შენს ნაწამებ სხეულს, შენს ნატკენ სულს. გვენანება შენი ოცნებები. გვებრალები... თუმცა არა, ჩვენ შენი მკვლელები უფრო გვებრალებიან, შენი გაწირვით საშვილიშვილო ცოდვა რომ დაიდეს. ყველას საკადრისი მიეზღვება. არც ბოროტება, არც სიკეთე უკვალოდ არ იკარგება.

სილამაზე და ვაჟკაცობაც არ ქრება სამუდამოდ. მაშინ უფალი ყოვლისშემძლე არ იქნებოდა. სწორედ ამიტომ არ გემშვიდობებით, მაინც გელოდებით...

გვიყვარხარ, დათო.

ტელეკომპანია „მეორე არხი“.

სული რომანტიკოსისა

ფოტოსურათიდან დაფიქრებული კაცი იმზირება — თავის ნახატების ფონზე. სევდიანი გამოხედვა ამჟღავნებს რომანტიკოსი ხელოვანის სულს, სულს, რომელიც მისივე ქმნილებებშია განფენილი და მხოლოდდა ქმნილებებში... თვით ხელოვანი 1977 წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა... ეს ავთანდილ ვარაზია — ვარაზი, ჩვენი დროის უნიკალური მხატვარი, შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში რომ წავიდა იმ სოფლად.

ახლახან საქართველოს რესპუბლიკის სამუზეუმო-საგამოფენო გაერთიანება „სურათების ეროვნულმა გალერეამ“, საქართველოს რესპუბლიკის თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმმა პატივი მიაგო მხატვრის ხსოვნას და გამოსცა კატალოგი; აქ მის ქმნილებებთან ერთად დაბეჭდილია ილია ზაუტაშვილის, მერი კარბელაშვილის, ალექსანდრე ჯავახიშვილის, ერასტ კუზნეცოვის, ალექსანდრე თარხნიშვილის, რუსლან ლონდაძის წერილები, რომლებიც საინტერესო შტრიხებს მატებენ ავთო ვარაზის პორტრეტს.

კატალოგის შემდგენელია ხათუნა ჭურღულია, მხატვარი — ილია ზაუტაშვილი, რედაქტორი — ასმათ ქანდაურიშვილი. ამ გამოცემაში გულითადი მონაწილეობა მიიღო მხატვრის მეგობარმა ვახტანგ რურუამ. შემოქმედებითი ჯგუფი დიდად ემადლიერება აგრეთვე ქ-ნ ქეთევან მარშავას თანადგომისათვის, ურომლისოდაც, დღევანდელ პირობებში, კატალოგის გამოცემა გაჭირდებოდა.

იგი პოლიგრაფიულადაც მაღალ დონეზეა გამოცემული (გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა). მასში დაბეჭდილი ფერადი რეპროდუქციები კარგად გადმოსცემს ავტორისეულ კოლორიტს, ანუ მისი რომანტიკული სულის მოლურჯო-მოვერცხლისფრო ფერებს, რომლითაც აშენებდა იგი, როგორც იტყოდა, თავის ტაძარს!

...„ფერწერა იყო ჩემი ლოლინო“, დასძენდა თურმე და კიდევ: „ხელოვნება არის იქ, სადაც სულიერება და გრძნობააო“...

სწორედ ეს სულიერება და გრძნობა გხიბლავთ უპირველესად ვარაზისეულ პორტრეტებში, ნატურმორტებში და, თუ გნებავთ, კოლაჟებში, რასაც მიმართავდა ხოლმე ზოგჯერ არა ორიგინალობისა და ეფექტისათვის, არამედ მაშინ, როცა ზედმიწევნით სურდა რაიმე ნივთის ფაქტურის, სტრუქტურის, ანუ ხასიათის გადმოცემა, ნახატის ზემოქმედების გაძლიერების მიზნით.

...ჭეშმარიტ ხელოვანთან შეხვედრა სიკვდილის შემდეგაც საინტერესო და ამაღელვებელია...

ნანა ლვინეფაძე.

ჭადრაკი

მონაკოში გაიმართა მსოფლიო პირველობაზე ნანა იოსელიანისა და სე ცზიუნის ფინალური მატჩის მეექვსე და მეშვიდე პარტიები, რომლებშიც მეტოქეებმა თითო-თითო გამარჯვება მოიპოვეს. ასე რომ, ქართველი დიდოსტატის მიერ პირველი მოგებით აკიაფებულ გარდატეხის იმედს, სამწუხაროდ, გაღვივება არ ეწერა — მოწინააღმდეგემ შემდეგ პაექრობაშივე შეძლო სტატუს-კვოს აღდგენა. იგი კვლავ სოლიდური უპირატესობით არის წინ—5,5:1,5.

კალათბურთი

კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის პირველი ტური „ბ“ ჯგუფის გუნდებს შორის მეოთხე სათამაშო დღის მეორე მატჩის პირველი ტაიმის მეჩვიდმეტე წუთზე შეწყდა — „თბილისი“ ამ დროს ამარცხებდა „დინამოს“ — 36:26. სწორედ ამ მომენტში ბურთისათვის ბრძოლაში ყოფილმა დინამოელმა გია სანაძემ განახორციელა შალვა ცხვედიანის „შებოჭვა“ (ყოველ შემთხვევაში, ტრიბუნიდან ასე ჩანდა), მსაჯებმა კი სადავო დანიშნეს, რამაც სათადარიგოთა სკამზე მყოფი გელა დარსაძის „შესაბამისი“ რეაქცია გამოიწვია. საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა გოგი ავალიშვილმა იგი მოედნიდან გააძევა, მაგრამ „დინამოს“ ვეტერანი ამ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა. შექმნილ დაძაბულ ვითარებაში ავალიშვილმა თვითონ დასტოვა სარბიელი, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ გამოაცხადეს, რომ შეხვედრა დამთავრებულია (?!). კიდევ უფრო გასაოცარი გახლდათ ის ვარაუდი, აღნიშნული განაჩენის შემდეგ კულისებში რომ გამოითქვა — შესაძლოა, არა მარტო ეს ტური, არამედ მთლიანად ჩემპიონატი ჩაიშალოსო. მაყურებელთა ნაწილი კი პირდაპირ ამბობდა — ამ შემთხვევაში საქმე მხოლოდ საბაბთან გვაქვს, მიზეზები კი უფრო ღრმააო.

მოკლედ, ხვალისათვის, 10 ნოემბრისათვის დანიშნულმა ამ ინციდენტის განხილვამ ბევრ საჭირბოროტო კითხვას უნდა გასცეს პასუხი, ერთს კი დავძენთ: რა დააშავეს გულშემატკივრებმა და სხვა კლუბებმა, ნუთუ ცალკეული სპორტსმენებისა და მსაჯების საქციელი და გადაწყვეტილებები (თუნდაც ემოციური და სადავო) ასეთი შედეგებით უნდა მთავრდებოდეს? განა განვლილ სეზონში ნაკლებად მძიმე ფაქტების მომსწრენი ვიყავით, როდესაც არათუ ტური და ჩემპიონატი, არამედ ყოველი მატჩი ბოლომდე იქნა მიყვანილი?

ხსოვნა

ოთარ ცქიტიშვილი

ქართულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი, ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ოთარ ვარლამის ძე ცქიტიშვილი.**

იგი დაიბადა 1927 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, ასპირანტურა აღმოსავლეთის ისტორიის კათედრაზე. 1956 წ. დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1969 წ. — სადოქტორო დისერტაცია. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში სწავლულ მდივნად, უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო 1966 წლიდან გარდაცვალებამდე — მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელად.

ოთარ ცქიტიშვილი ავტორია 60-ზე მეტი ნაშრომის, მათ შორის 4 მონოგრაფიისა, რომლებიც დაბეჭდილია როგორც ქართულ, ისე რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და არაბულ ენებზე. სპეციალისტთა საყოველთაო აღიარება მოიპოვეს მისმა მონოგრაფიებმა შუასაუკუნეების ბაღდადის ისტორიის შესახებ.

პროფესორი ო. ცქიტიშვილი იყო თვალსაჩინო წარმომადგენელი ქართველ აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსთა იმ სკოლისა, რომელიც შექმნა გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა პროფ. ვ. გაბაშვილმა. მის სამეცნიერო მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აღმოსავლური წყაროების პუბლიკაციას. არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიუძღვნა მან საქართველოს შუასაუკუნეების ისტორიისა და ქართულ-არაბული ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების პრობლემების შესწავლას.

ოთარ ცქიტიშვილი 1970 წლიდან კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, ხელმძღვანელობდა ისტორიის კათედრას თბილისის ღია ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში.

რამდენიმე თვის წინათ შვილიშვილის ტრაგიკულმა სიკვდილმა შეარყია ო. ცქიტიშვილის ჯანმრთელობა. ნაადრევად წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი მეცნიერი და მოქალაქე, ჩინებული მეოჯახე, სიკეთით სავსე პიროვნება, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ახლობლების, მეგობრების, კოლეგების და მოწაფეების გულებში.

აკადემიკოს გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი; თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი; საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასოციაცია.

ნოდარ ახვლედიანი

გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი **ნოდარ ვალერიანის ძე ახვლედიანი.**

ნ. ახვლედიანი დაიბადა 1925 წ. დაამთავრა რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი, 1948 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში, სადაც იღვაწა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. 1964 წლიდან ხელმძღვანელობდა ზღვრული წონასწორობის თეორიის განყოფილებას.

მას ეკუთვნის მრავალი ფუძემდებლური სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეძღვნება არმირებული სივრცითი კონსტრუქციების მზიდუნარიანობის შეფასებას ზღვრული წონასწორობის თეორიის პოზიციებიდან. 120-მდე სამეცნიერო ნაშრომმა მას სპეციალისტთა აღიარება მოუტანა.

ნ. ახვლედიანი აქტიურად მონაწილეობდა გარსული ტიპის კონსტრუქციების პროექტირებასა და მშენებლობაში. მისი უშუალო მონაწილეობით განხორციელდა ორიგინალური გარსული გადახურვები როგორც საქართველოში, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა 20-მდე საკანდიდატო დისერტაცია.

წავიდა ჩვენგან ერუდირებული მეცნიერი, პრინციპული, საქმისათვის თავდადებული პიროვნება. მისი ნათელი ხსოვნა ყოველთვის დარჩება მეგობრებისა და კოლეგების გულში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება; კ. ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი; საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტი.

პირველი შთაბეჭდილება

წიგნი ფიროსმანის გარემოზე

ამ ცოტა ხნის წინ „მერანმა“ გამოსცა ხელოვნებათმცოდნის ანზორ მაძღარაშვილის მცირე მოცულობის წიგნი „ფიროსმანის გარემო“. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, უფრო მართალი წიგნი ფიროსმანის ცხოვრებაზე იშვიათად წამიკითხავს. ავტორი ღრმად და საინტერესოდ აანალიზებს მხატვრის შემოქმედებას, შთამბეჭდავად გადმოსცემს ფიროსმანის მშობლიური კუთხის კოლორიტულ, ეთნოგრაფიულ თავისებურებას, მირზაანის და ქიზიყის, მისი ადგილისდედის, მიწისა და მზის ფერადოვნებას. ხატოვნად აღწერს გარემოს, რომელშიც გაატარა მხატვარმა თავისი ახალგაზრდობა.

ავტორი წიგნში ვრცლად მიმოიხილავს ფიროსმანის ცხოვრების ყველა პერიოდს ბავშვობიდან ვიდრე სიკვდილამდე. დიდი დამაჯერებლობით გადმოსცემს მშობლიურ მიწასთან მის გენეტიკურ განუყოფლობას, მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი დიდი შინაგანი სიმართლის მიზეზის მიზეზს. ავტორი მკითხველს მშვენიერი ქართულით, მდიდარი ლექსიკით, თხრობის ორიგინალური მანერით ესაუბრება იმ გარემოზე, რომელშიც დიდი მხატვარი აღიზარდა და ჩამოყალიბდა როგორც განუმეორებელი ხელწერის შემოქმედი.

წიგნში შეხვდებით გამოჩენილ ქართველ ხელოვანთა, მწერალთა, მხატვართა, სხვა პროფესიის ადამიანთა გამონათქვამებს, შეხედულებებს ფიროსმანზე, მის პიროვნებაზე და შემოქმედებაზე: გრიგოლ რობაქიძის, გერონტი ქიქოძის, ტიციან ტაბიძის, მოსე თოიძის, დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის და სხვათა ნააზრევს. ამ წიგნის შინაგანი სიმართლე ფიროსმანის სულიერ და ფიზიკურ სამყაროსთან ავტორის სიახლოვემაც განაპირობა. ანზორ მაძღარაშვილი თავადაა მკვიდრი ფიროსმანის მშობლიური კუთხისა და სულით და ხორცით ისიც მშობლიური კახეთის მართალი შვილია, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მირზაანში და თბილისში მხატვრის სახლ-მუზეუმების დაარსებასა და არსებობაში.

ამ წიგნით მკითხველი არა მარტო საქართველოს ულამაზესი კუთხის ხალხურ ეტიმოლოგიას და მატერიალური კულტურის ძეგლებს გაეცნობა, არამედ გენიალური მხატვრის შემოქმედების სათავეს, სუფთა ანკარა წყაროს, რომელიც ასაზრდოებდა და სიმართლით ავსებდა მხატვრის სულს.

ელგუჯა ამაშუკელი.

სააქციო ბანკი კერძობანკი

სადეპოზიტო ანგარიშზე ღებულობს დროებით თავისუფალ ფულად სახსრებს შემდეგი საპროცენტო განაკვეთით:

იურიდიული პირებისგან წელიწადში 210%, ხოლო მოქალაქეებისგან — 215% (მათ შორის ანონიმურ ანაბარზე გვარისა და სხვა საპასპორტო მონაცემების გარეშე, კოდირებული სისტემით)

მოქალაქეებისაგან (მათ შორის ანონიმურ ანაბარზე) და იურიდიული პირებისგან ნაღდ და უნაღდო ვალუტას წლიური 45%.

მეანაბრის სურვილით შესაძლებელია ანაბრებზე პროცენტის გაცემა ბანკთან წინასწარ შეთანხმებულ ვადებში.

კერძობანკი მყარი გარანტიით გასცემს სავალუტო კრედიტებს მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებზე.

კერძობანკი და რუსთაველზე ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში გახსნილი ბანკის ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ანარმოებს ვალუტის შესყიდვას ქართულ კუპონებში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე:
თბილისი, სანდრო ეულის ქ. №1 (ვაჟა-ფშაველას პროსპექტის ბოლოში) ან დარეკეთ
ტელეფონებზე: 31-17-85, 31-34-17, 31-00-75.



ფირმა «PrintShop»
უახლესი ჰოლანდიური ტექნოლოგიით!
უმოკლეს დროში!
დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის
ბეჭდებსა და შტამპებს,
სავიზიტო ბარათებს, ბლანკებსა
და ფასიან ქაღალდებს
თბილისი. ვირსალაძის ქ. № 8
ტელ.: 998696, 997712

განცხადება
შევისყიდით 25 სმ და მეტი სიგრძის ადამიანის თმას.
მისამართი: ქ. თბილისი,
ცენტრალური რკინიგზის სადგური, II სართული,
„თმის შემსყიდველი პუნქტი“.
ვმუშაობთ ყოველდღე 12.00 — 17.00 დასვენება კვირას.

ყოველ ოთხშაბათს, 12 საათზე

კომპანია „ირბისი“

ატარებს სავალუტო-საბითუმო გაყიდვას

ვაჭრობაზე წარმოდგენილია ნებისმიერი სახის ნებისმიერი რაოდენობის ფართო ასორტიმენტის საქონელი, მათ შორის მცირე პარტიებითაც.

ვაჭრობაზე ვეპატიჟებით ყველას, როგორც მსხვილ, ასევე საშუალო დონის მეწარმეებს, კომერციული ჯიხურების და მაღაზიების მფლობელებს, ყველა დონის ბიზნესმენსა თუ კერძო პირს.

გახსოვდეთ, რომ ჩვენთან საქონელი ბევრად იაფია.

მათ, ვისაც სურს საქონლის გაყიდვა, ველით ყოველდღე დილის 10 საათიდან 16 საათამდე შაბათ-კვირის გარდა.

ჩვენი მისამართია: ცოტნე დადიანის ქ. № 26, კულტურის სასახლე (მეტროს სადგურების „ვაგზლის მოედანსა“ და „ნაძალადევს“ შორის), მეოთხე სართული, ოთახი № 16.

ტელ.: 66-16-75.

გვეწვიეთ და არინანებთ

ვისაც გსურთ წონაში დაკლება კვების შეზღუდვის, დიეტის, და ყოველგვარი ვარჯიშის გარეშე,

გთავაზობთ აშშ-ს ბალანსირებული კვების პროდუქტს, რომელიც წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ეს არის ბალახოვანი პროდუქტი და
მველი ჩინური მედიცინის კანონები.

ეს არის
ჯანმრთელობა,
სიმხნევე,
შრომისუნარიანობა,
კარგი განწყობა.

მიუხედავად წონაში დაკლებისა (5-15 კგ.), რომელიც ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის დარეგულირებით, ცხიმების დაშლით და ქოლესტერინის დაქვეითებით მიიღწევა, კანი ინარჩუნებს ელასტიურობას. სასურველი წონის და გარეგნობის მისაღწევად საკმარისია ორგანიზმისათვის სრულიად უვნებელი მცენარეული წარმოშობის სხვადასხვა არომატის მქონე კოქტეილის და აბების მიღება.

წონაში დაკლების გარდა გთავაზობთ წონაში მომატებას, კუჭ-ნაწლავისა და გულ-სისხლძარღვთა განკურნებას, სპეციალურად სპორტსმენებისა და ბავშვებისათვის განკუთვნილ პროგრამებს.

დაგვირეკეთ და გარწმუნებთ უალრესად კმაყოფილნი დარჩებით
30-41-52, 38-16-26

სამშაბათი

9 ნოემბერი

7.25 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.45 — **ანძა** — ტელემარკეტინგი. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — საქართველოს ისტორია. 17.45 — ქართული ლიტერატურა. 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმი. 18.30 — SOS — მატარებლები. 18.45 — განცხადებები. 18.55 — ადამიანი და კანონი — სამართლებრივი პროგრამა. 19.25 — კახეთი იმედით ცოცხლობს... 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — სერგო ზაქარიაძე. 21.10 — საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში: „კახეთი“ (თელავი) — „დინამო“ (თბილისი). 8 ნოემბრის მატჩის ვიდეოჩანაწერი. 22.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 — მხატვრული ფილმი. 23.50 — **ქვეშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

უჩვენებს თბილისი

ოთხშაბათი

10 ნოემბერი

7.25 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 9.05 — ფრანგული ენა. 9.40 — გერმანული ენა. 10.15 — ინგლისური ენა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.45 — განცხადებები. 18.50 — **ანძა** — ტელემარკეტინგი. 19.00 — ფოლკლორის სათავეებთან. 19.40 — SOS — სამარშრუტო ტაქსები. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — ირაო. 21.00 — სპორტული პროგრამა: 1. დიდოფლის გვირგვინისათვის; 2. მალაყი. 21.45 — დოკუმენტური ფილმი. 22.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 — ვიდეო... ვიდეო... 24.00 — **ქვეშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ხუთშაბათი

11 ნოემბერი

7.25 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.45 — **ანძა** — ტელემარკეტინგი. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — საქართველოს ისტორია. 17.45 — ქართული ლიტერატურა. 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმი. 18.30 — განცხადებები. 18.35 — რამპა. 18.40 — წრე — „რომელმან შექმნა სამყარო...“ 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — რაღაც უნდა გადარჩეს... 21.00 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ანთიმოზ ივერიელი“. 22.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 — მხატვრული ფილმი. 23.50 — **ქვეშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

პარასკევი

12 ნოემბერი

7.25 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — ფრანგული ენა. 17.50 — გერმანული ენა. 18.25 — ინგლისური ენა. 18.55 — განცხადებები. 19.05 — მსოფლიოს გამოჩენილი პიანისტები — კრისტიან ციმერმანი. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — პოლიტიკა. 21.00 — სპორტული პროგრამა: 1. დიდოფლის გვირგვინისათვის; 2. ფეხბურთში საქართველოს თასის გათამაშების მატჩის ვიდეოჩანაწერი. 22.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 — მხატვრული ფილმი. 23.50 — **ქვეშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოზიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0466.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434